ყოველდღიური გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

20 ივნისიდან „ახალი თაობა“+ ჯუზეპე ვერდი 8 ლარი



ოთხშაბათი, 20 ივნისი, 2012 №145 (5835) ფასი: 30 თეთრი

## ჯონდი ბაღათურია: „ხელისუფლება პროსტიტუციით შოულობს ფულს“

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



გვ.3

რამდენი ბორდელია გონიოში

## პარლამენტის ვიცე-სპიკერმა 5 ათას ადამიანს ფული მოპარა



გვ.4

## ივანიშვილის ჯარიმასთან დაკავშირებით აღსრულების ეროვნულ ბიუროს სასამართლო მიმართავს

გვ. 5



გვ.5

პაატა ზაქარეიშვილი: „თუ ბევრი ამომრჩეველი მოვა, არჩევნები ვერ გაყალბდება“

გია თორთლაძე: „ქართულ ოცნებაში“ მყოფი პოლიტიკოსების 70% იყიდება“





დევნილებმა ლტოლვილთა სამინისტროსთან შიმშილობა დაიწყეს

გვ. 6

რომან მარსაგიშვილი ყაზბეგის რაიონის გაზიფიცირებას ითხოვს

გვ.2



ამომრჩეველთა სიაში მიცვალებულთა რაოდენობა გაზრდილია

გვ. 2



ახლები გოროზიას წინააღმდეგ

გვ.4



ISSN 1987-9385

2 117-ე სკოლის დირექტორმა გამოცდები გააუქმა

6 საგამოცდო ბარათების დარიგება დაიწყო

4 კახეთში 23 წლის ახალგაზრდა დენის დარტყმის შედეგად გარდაიცვალა

6 ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების გაცემა დაწყებულია

# ამომრჩეველთა სიაში მიცვალებულთა რაოდენობა გაზრდილია

ნათია ხურცილავა

## ინტერვიუ „ამომრჩეველთა ლიგის“ აღმასრულებელ დირექტორ ლევან ჩიკვაიძესთან

*— ბატონო ლევან, მამუკა კაციტაძემ განაცხადა, რომ ჯერ საბოლოო სია არ გამოქვეყნებულა და საიდან იციან, რომ ცდომილება იქნება? თქვენი კონტრარგუმენტი როგორია?*

— მე-მათ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მონაცემებით ვიხელმძღვანელე. ასი ათასი ამომრჩევლის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემი ასეთია: 4 ათასი უცხოეთში მყოფი ამომრჩეველი, 3 ათასი დაუდგენელი, 300 გარდაცვლილი. მეორე მონაცემი მათ მიერ გამოქვეყნებული – 60 პროცენტი არის ერთიანი საარჩევნო სიის 2 მილიონ 200 ამომრჩეველი. მიღებული შედეგი ასი ათასი ცვლილება სამ კატეგორიაზე, გარდაცვლილი, დაუდგენელი, უცხოეთში მყოფი. ასი ათასი არის 4,5 პროცენტი 2 მილიონ 200 ათასის. პირველ შემთხვევაში 4 პროცენტი მივიღეთ, მეორე შემთხვევაში კიდევ უფრო შემცირდა სამივე მონაცემი.

*— თქვენ იხელმძღვანელეთ წინასწარი მონაცემებით, რომელიც სახელმწიფო კომისიამ გამოაქვეყნა...*

— მათი მონაცემებით ვიხელმძღვანელე, რომელიც ორჯერ გამოქვეყნდა, რაც მათ ვებგვერდზეა განთავსებული.

*— თქვენი ორგანიზაციის მეთოდოლოგიაზე რომ გვითხრათ, თქვენ როგორ ატარებთ კარდაკარს?*

— უნდობლობა კომისიის მიმართ უკვე დაფიქსირებულია სწორედ აქედან გამომდინარე. გარდა პოლიტიკური მდგომარეობის განხილვისა იმ დროისთვის, როდესაც პრეზიდენტმა გადაწყვიტა, შეექმნა მსგავსი კომისია, მაშინ აბსოლუტურად განსხვავებული პოლიტიკური რეალობა იყო – ერთპოლუსიანი პოლიტიკური სპექტრი. თუმცა, ახლა პოლიტიკურ წიაღსვლებს არ შევუდგები. ამომრჩეველთა სიის დაზუსტების მსურველმა, პირველ რიგში, უნდა მიიღოს მონაცემი უცხოეთში მყოფი ამომრჩევლის შესახებ. ასეთი მონაცემის მიღების შესაძლებლობა არსებობს საზღვრის დაცვის პოლიციიდან. საზღვარს ადამიანები სახელისა და გვარის გარეშე ვერ კვეთენ. ჩვენ სახელსა და გვარს არ ვითხოვთ, ვიცი, რომ ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა, მაგრამ რაოდენობა, თუ რამდენია გასული, საჯარო ინფორმაციაა. სტატისტიკის დეპარტამენტი ყოველწლიურად აქვეყნებს გასული და შემოსული ადამიანების სხვაობას. ჩვენ ვითხოვთ ამ მონაცემებს, მაგრამ არასრულ მონაცემებს გვაძლევენ. ასევე მივმართეთ საზღვრის დაცვის პოლიციას, მაგრამ უცნაური წერილი მივიღეთ, რომელსაც ხელმოწერა არა აქვს და გვატყობინებენ, რომ ასეთი ინფორმაცია არა აქვთ. დებულების მიხედვით, რომელიც პრეზიდენტმა დაუმტკიცა სახელმწიფო კომისიას, მათი პირდაპირი ვალდებულებაა, სახელმწიფო ორგანოებთან ითანამშრომლონ და იქიდან მიიღონ ინფორმაცია. მათ ასეთ ორგანოდ მხოლოდ სამოქალაქო რეესტრი ჩათვალეს. ავიწყდებათ, რომ ქვეყანაში არის შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელსაც ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია აქვს, რაც, ვიმეორებ, გამოიხატება უცხოეთში მყოფი ამომრჩევლების რაოდენობით.

*— ყველაზე დიდი პრობლემა სწორედ უცხოეთში მყოფი ამომრჩეველია. ისინი სიაში ისევ არიან, თქვენი ინფორმაციით?*

— სიაში ისევ არიან. ჩვენი მოქმედი კანონმდებლობით ეს ადამიანები უნდა იყვნენ სიაში, მაგრამ იგივე კანონის მოთხოვნაა, რომ მინაწერი არსებობდეს მათი გვარის გასწვრივ, რომ უცხოეთში იმყოფება. ეს არის, რაც მანიპულირების საშუალებას აძლევს გაყალბების მსურველს. სწორედ ასეთი დაუდგენელი, მიწერილი მოქალაქეები აღმოჩნდებიან სიაში, რომელიც ყოველთვის არჩევნების წინა პერიოდში მატულობს. კარდაკარ აღწერის დროს თავიანთი მეთოდოლოგიით (ამომრჩეველს უნდა შეხვდნენ და პირადობის მოწმობიდან მიიღონ მონაცემი) ვერ აღწერენ ოჯახებს, რომლებიც მთელი შემადგენლობით იმყოფებიან უცხოეთში. თუ გავითვალისწინებთ ეროვნულ უმცირესობასაც, რომლებმაც ძალიან დიდი რაოდენობით დატოვეს საქართველო, მაგალითად, სომხური, ბერძნული, რუსული წარმოშობის ოჯახებმა, რომლებიც ისევ სიაში არიან. ვიმეორებ, მათ შესახებ ინფორმაციას კარდაკარის მეთოდოლოგიით საერთოდ ვერ მიიღებენ. ეს ძალიან დიდი რაოდენობაა. გარდა ეროვნული უმცირესობისა, არსებობს ქართული ოჯახები, რომლებიც წასული არიან და მათ შესახებაც ვერ იქნება ინფორმაცია.

*— ამ საკითხებზე თუ გქონდათ საუბარი სახელმწიფო კომისიის წევრებთან?*

— ასეთი ორგანო არსებობდა ქვეყანაში და ეს იყო ცენტრალური საარჩევნო კომისია.

*— თუმცა, მას უნდობლობა გამოუცხადა ოპოზიციის უმრავლესობამ.*

— და შევქმენით ნაციონალური მოძრაობისგან დაკომპლექტებული კომისია და ამ კომისიას რატომ უნდა გამოვუცხადოთ ნდობა. ვიმეორებ, მაშინ ერთპოლუსიანი იყო პოლიტიკური სპექტრი. ხელისუფლებისგან ხშირად იდგმებოდა ასეთი ნაბიჯი ვილაცის მოსაჩვენებლად. თითქოს პარიტეტის დაცვით დაკომპლექტებული ორგანო იღებს გადაწყვეტილებას, მაგრამ სახელი და გვარი ვნახოთ, შვიდი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელია.

*— კოალიცია „ქართული ოცნება“ ალტერნატიულ კარდაკარს აპირებს. რატომ, როდესაც „ამომრჩეველთა ლიგამ“ დიდი ხნით ადრე დააანონსა ალტერნატიული*



*კარდაკარის შესახებ?*

— ყველა პოლიტიკურ სუბიექტს, ბუნებრივია, აქვს სურვილი, ჰქონდეს თავისი მონაცემი. შეიძლება, განსხვავებული მეთოდოლოგიით ჩაატარონ. ვიმეორებ, ჩვენ მიერ განსაზღვრულ იქნა პრიორიტეტები: დაუდგენელი ამომრჩეველი ანუ მიწერილი, უცხოეთში მყოფი ამომრჩეველი და გარდაცვლილები. ბევრი პარტიისგან გვინახავს წინასაარჩევნოდ მსგავსი პროექტი, კარდაკარი. თუმცა, ჩვენი შედეგი მთლიანად ორიენტირებულია ამომრჩეველთა სიის შემოწმებასა და დაზუსტებაზე. პოლიტიკური პარტიის შეიძლება ოდნავ განსხვავებული იყოს, ვერ გეტყვით.

*— როგორც ვიცი, უკვე დაიწყეთ...*

— პირველი ეტაპი მოიცავს თბილისსა და ზუგდიდს. ერთიანად ამომრჩევლის რაოდენობა ერთი მილიონ 58 ათასია. საკმაოდ დიდი რაოდენობაა.

*— თუ დააფიქსირეთ უკვე რაიმე სახის ცდომილება?*

— საველე სამუშაოებიდან შედეგები ჯერ არ გვაქვს.

*— ვინ არიან ადამიანები, რომლებიც კარდაკარს ატარებენ, ტრენინგი თუ გაიარეს?*

— რა თქმა უნდა, სპეციალური სწავლება ყველას აქვს გავლილი. ეს ადამიანები „ამომრჩეველთა ლიგის“ რაიონული ორგანიზაციებიდან არიან, ასევე რეგისტრატორები.

*— საველე სამუშაოების დროს რაიმე სახის წინაღობას თუ ელოდებით?*

— ჯერ ასეთი ინფორმაცია არ შემოგვსვლია. ჯერჯერობით მოსახლეობასთან არანაირი პრობლემა არ შეგვქმნია. პირიქით, მიესალმებიან „ამომრჩეველთა ლიგის“ მიერ ჩატარებულ შემოწმებას. ერთადერთი წინაღობა, რაც შეგვხვდა – ეს არის საზოგადოებრივი მაუწყებლიდან მიღებული წერილი – თურმე ჩვენი რეკლამა არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს სოციალური რეკლამის შესახებ.

*— როგორ ფიქრობთ, წინასწარი მონაცემებით, დიდი სხვაობა იქნება თქვენ მიერ დადებულ ამომრჩეველთა სიასა და სახელმწიფო კომისიის მიერ დადებულ სიას შორის?*

— ზოგადი შეხედულებით, კომისია დადებს იმ მონაცემს, რომელსაც შეუკვეთს ის, ვინც მიიღო გადაწყვეტილება ამ კომისიის არსებობის შესახებ. ეს არის ხელისუფლება. ამ კომისიის შექმნისთანავე განსაზღვრული იყო, როგორი მონაცემები უნდა დადებულიყო, გამომდინარე იმ პოლიტიკური მდგომარეობიდან, რომელიც იმ დროს იყო. დღეს დამოუკიდებლად შეუძლია ნებისმიერ წევრს გადაწყვეტილების მიღება. კომისიაში არიან ადამიანები, რომლებიც, ვფიქრობ, ასეთ დაბალ მაჩვენებლებს ვერ დაეთანხმებიან. არაბუნებრივი გამოდის. ვიმეორებ, მათ მიერ გამოქვეყნებული პირველი ორი მონაცემი ძალიან ცოტაა, ვგულისხმობ 4 პროცენტს, რომელიც, მათი მონაცემით, უცხოეთშია. არიან ადამიანები და პოლიტიკური პარტიებიც, რომლებიც რეალურ ცხოვრებას არიან მოწყვეტილი, სხვაგან ცხოვრობენ, ნაციონალურ მოძრაობაზე ვამბობ, მაგრამ, ვინც რეალურად ამ ქვეყანაში ცხოვრობს, მან ხომ იცის, რა ხდება მის გარშემო. ეს ხომ არ არის 4 პროცენტი. ვიმეორებ, ამ კომისიის არ არსებობის შემთხვევაშიც ეს სამუშაოები ჩასატარებელი იყო.

*— თქვენი სია როგორი იქნება? თქვენ არ უნდა გქონდეთ ამ შემთხვევაში გამოკვეთილი ინტერესები.*

— ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია იქნება სიაში ცვლილების შეტანის საფუძველი, გამომდინარე იქიდან, რომ ოჯახისგან მიღებული ინფორმაცია განცხადებით იქნება გამყარებული და ვალდებულება ექნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, შესწორება შეიტანოს. რამდენად შეიტანს ცვლილება, ეს მეორე საკითხია. მე ვახსენე ის ოჯახები, რომლებმაც ქვეყანა მთელი შემადგენლობით დატოვეს. ამ ინფორმაციას მეზობლისგან ავიღებთ. მე ვფიქრობ, რომ ეს იქნება იმის სრული საფუძველი, სიაში ცვლილება შევიდეს, მაგრამ, რამდენად იქნება გათვალისწინებული, ვერ გეტყვით, ჩვენთვის კი სრული სურათი შეიქმნება სიასთან დაკავშირებით.

*— თქვენ მიერ მოპოვებული მასალა საზოგადოებისთვის ცნობილი იქნება?*

— ერთი კვირის პერიოდულობით ჩვენ მიერ მიღებული შედეგები საზოგადოებას ეცნობება. შეიძლება, ვილაც გონს მოეგოს და ინფორმაცია მოგვცეს, სახელმწიფო ორგანოებს ვგულისხმობ. ვიმეორებ, ეს ინფორმაცია არსებობს.

*— მიცვალებულებთან დაკავშირებით...*

— გაყალბების მსურველი წინასწარ არ იყენებს ამ კატეგორიას. სამწუხაროდ, მიცვალებულთა რაოდენობაც გაზრდილია. ყოველთვიურად, სტატისტიკის მიხედვით, 4 ათასამდე იღუპება.

## რომან მარსაგიშვილი ყაზბეგის რაიონის გაზიფიცირებას ითხოვს



ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრი რომან მარსაგიშვილი ზაფხულის პერიოდში, ყაზბეგის რაიონის გაზიფიცირებას ითხოვს.

ამის შესახებ მარსაგიშვილმა პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე განაცხადა და ყაზბეგის რაიონში შექმნილ მძიმე სოციალურ ფონზე ისაუბრა.

მისი თქმით, რაიონს ზაფხულის პერიოდში არ მიეწოდება გაზი და ყაზბეგს არც ტყის მასივი აქვს. შესაბამისად, მოსახლეობა გაჭირვებაშია. მისი თქმით, ენერგეტიკის მინისტრი ორჯერ იყო ჩასული ყაზბეგში, მაგრამ არსებითად ვითარება არ გამოსწორებულა.

„კომპეტენტურ პირებს მივმართავ, ზაფხულის პერიოდში, გაზის პრობლემა მოგვარდეს, თუნდაც, მოსახლეობის მიერ აირის საფასურის გადახდის ხარჯზე“, – განაცხადა მარსაგიშვილმა და დასძინა, რომ ყაზბეგელებისთვის სერიოზული პრობლემაა ჯვრის უღელტეხილიც.

მისი თქმით, გზა საკმაოდ დაზიანებულია და ასევე, რაიონს არ აქვს თოვლსაწმენდი მოწყობილობები.

ინტერპრესნიუსი

## ლაზიკას სტატუსის შესახებ საკონსტიტუციო ცვლილება პარლამენტმა მეორე მოსმენით დაამტკიცა

ქალაქ ლაზიკას სპეციალური სტატუსის განსაზღვრის შესახებ საკონსტიტუციო ცვლილების პროექტი პარლამენტმა 108 ხმით ერთის წინააღმდეგ, მეორე მოსმენით დაამტკიცა.

კანონპროექტის თანახმად, ლაზიკას სტატუსი ორგანული კანონით განისაზღვრება.

კენჭისყრამდე „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ პროექტის განხილვის შეჩერება მოითხოვა, თუმცა უშედეგოდ.

ოპოზიციის წინააღმდეგობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ამ დრომდე უცნობია რა თანხები დაიხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ქალაქის მშენებლობაზე.

როგორც „ქრისტიან-დემოკრატმა“ ლევან ვეფხვაძემ განაცხადა, ეს პროექტი ბიუჯეტს რამდენიმე მილიარდი დაუჯდება და უმჯობესია ეს სახსრები ხელისუფლებამ ქართული სოფლის აღორძინებაზე მიმართოს.

ნიუსპრესი

## 117-ე სკოლის დირექტორმა გამოცდები გააუქმა

თბილისის 117-ე სკოლის დირექტორმა კლასიდან კლასში გადასასვლელი გამოცდები გააუქმა, – იუწყება საზოგადოებრივი მაუწყებელი. სკოლის დირექტორმა დალილა ზუხბაიამ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც მოსწავლეებმა და მშობლებმა პედაგოგებთან ერთად საპროტესტო აქცია გამართეს და გამოცდების გაუქმება მოითხოვეს.

მათი განმარტებით, დირექტორმა მეშვიდე–მეცხრე კლასის მოსწავლეებისთვის სამი, ხოლო, უფროსკლასელთათვის ექვსი გამოცდა ნაადრევად დანიშნა.

ტესტების ჩაბარებისას კი მოსწავლეებმა აღმოაჩინეს, რომ ისინი განვლილი მასალის შეუსაბამოდ იყო შედგენილი, რის გამოც უმრავლესობამ დაბალი შეფასება მიიღო. სკოლის დირექტორი მშობლების მოთხოვნის მიუხედავად მათ არ შეხვდა, თუმცა გამოცდების გაუქმების შესახებ წერილობითი გადაწყვეტილება სკოლის შენობაზე გამოაკრა.

ადგილზე პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წევრი სოზარ სუბარიც იმყოფებოდა, რომელმაც „მედიანიუსს“ განუცხადა, რომ ეს ბავშვების კი არა, სისტემის პრობლემაა და ხელისუფლება განათლების დონის ამაღლებაზე არ ზრუნავს.

მედიანიუსი

## სიღნაღის მუნიციპალიტეტის შენობაში 85 წლის მამაკაცი დაიღუპა

გუშინ დილით, დაახლოებით 11:00 საათზე სირნაღის მუნიციპალიტეტის შენობაში 85 წლის მამაკაცი დაიღუპა.

როგორც „მედიანიუსს“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე ბოქოლიშვილმა განუცხადა, მამაკაცი შენობის მესამე სართულის კიბიდან გადავარდა, რის შედეგადაც დაიღუპა.

„აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს, გარდაცვლილს ჩაუტარდება ექსპერტიზა და მხოლოდ ამის შემდეგ დადგინდება გარდაცვალების ზუსტი მიზეზი“- აღნიშნა ბოქოლიშვილმა.

მამაკაცი გამგეობის შენობაში სასწრაფო დახმარების მისვლამდე გარდაიცვალა.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა განდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

## გია თორთლაძე: „ქართულ ოცნებაში“ მყოფი პოლიტიკოსების 70% იყიდება“



„დემოკრატიული პარტიის“ ლიდერი გია თორთლაძე აცხადებს, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“, შესაძლოა, მასში შემავალმა რამდენიმე პოლიტიკურმა სუბიექტმა დატოვოს. ამის შესახებ თორთლაძემ გუშინ გაზეთ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, ივანიშვილის კოალიციაში შემავალი პოლიტიკოსების 70% იყიდება და გამორიცხული არ არის, რომ პარლამენტში შესვლის შემდეგ, გაერთიანებაში მყოფმა ზოგიერთმა სუბიექტმა კოალიციის რიგები დატოვოს.

„ძნელია წინასწარ პროგნოზების კეთება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ივანიშვილის კოალიციიდან რაღაც რაოდენობა პარლამენტში შევა. რაც შეეხება მათ ერთობას, მე ვიყავი გაერთიანებულ ოპოზიციაში და ამიტომაც ვამბობ, რომ სიების ფორმირების დროს ივანიშვილს ექნება გარკვეული გავლენა მის კოალიციაზე, რადგან ფული მის ხელშია, ზოგმა კი, შესაძლებელია პარლამენტში შესვლის მერე კოალიციის რიგები დატოვოს“-განაცხადა თორთლაძემ.

მისივე თქმით, ეს ის პოლიტიკური ძალებია, რომლებიც თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე იყიდებიან.

ნიუსპრესი

## კუბლაშვილი ოპოზიციას ტყუილების თქმისაგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებს



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი პავლე კუბლაშვილი ოპონენტებს ტყუილებისთვის თავის დანებებისკენ მოუწოდებს. როგორც მან პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, კოალიცია „ქართული ოცნების“ ტყიბულის მაჟორიტარობის კანდიდატმა ელისო ჩაფიძემ და ოპოზიციონერმა დეპუტატმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ ტყიბულის მოსახლეობას განუცხადეს, თითქოსდა ქალაქში ბეტონის გზები თითქოს იაპონიის მთავრობამ დააგო.

„ლორთქიფანიძეს ტყიბულში სტუმრობას ვულოცავ, მაგრამ ოპონენტებს მოვუწოდებ, ტყუილებით შეხვედრებს ნუ გამართავენ. სხვა დროს, როცა ასეთ რამეს მოიფიქრებთ, სჯობს, სხვა ქვეყანა დაასახელოთ, რომელიც ახლოს იქნება და ამბავიც რეალისტურად გამოჩნდება“, – მიმართა ოპოზიციას პავლე კუბლაშვილმა.

სიტყვით გამოსვლისას კუბლაშვილი ტყიბულში არსებულ სოციალურ პრობლემებსაც შეეხო. მისი თქმით, მოსახლეობას კვლავ უჭირს, მაგრამ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ პრობლემები შრომითა და სოფლის მეურნეობის განვითარებით დაიძლიოს.

შეგახსენებთ, რომ ტყიბულში შექმნილ არასახარბიელო ვითარებას სხდომაზე დიმიტრი ლორთქიფანიძე შეეხო, რომელიც რაიონში „ქართული ოცნების“ ქუთაისის აქციასთან დაკავშირებით იმყოფებოდა.

მედიანიუსი

## ბათუმის „დინამო“ შესაძლოა უკრაინელმა მილიარდერმა დააფინანსოს

ბათუმს უკრაინელი მილიარდერი, ბიზნესმენი პიოტრ დიმინსკი ეწვია. იგი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელ ლევან ვარშალომიძეს შეხვდა და ქალაქი დაათვალიერა.

გარდა ამისა, სპორტული პორტალის, „ჭორლდსპორტ“-ს ინფორმაციით, გამორიცხული არ არის რომ უკრაინელმა ბიზნესმენმა ბათუმის „დინამოში“ ინვესტიცია ჩადოს. პორტალის ცნობით, უკრაინელი მილიარდერი, რომელიც საფეხბურთო კლუბ „კარპატის“ მფლობელია, ბათუმელთა მთავარი მწვრთნელის გია გურულის მეგობარია.

„ფორბსის“ ცნობით, უკრაინელი ბიზნესმენის ქონება 3 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.

მედიანიუსი

# ჯონდი ბალათურია: „ხელისუფლება პროსტიტუციით შოულობს ფულს“

თეა მარხვაიძე

**საზოგადოებაში უკვე დიდი ხანია საუბრობენ იმაზე, რომ აჭარაში თურქებს ბორდელები აქვთ გახსნილი. ეს ფაქტი ძალიან ბევრმა პოლიტიკოსმა გააპროტესტა. ხელისუფლების მხრიდან ამაზე არანაირი რეაქცია არ ყოფილა. რამდენიმე თვის განმავლობაში ოპოზიციონერებმა პროსტიტუციისთვის ვერ მოიცალეს. ცოტა ხნის წინ კი ეს საკითხი პარლამენტის წინაშე დაისვა. ბორდელებთან დაკავშირებით ხმაურიანი განცხადება გააკეთა დეპუტატმა ჯონდი ბალათურიამ.**

რამდენიმე კვირის წინ მან თქვა, რომ აჭარა ტრეფიკინგის ცენტრად გადაიქცა. დეპუტატის მტკიცებით, თურქებს ბათუმში შუა აზიიდან ჩამოჰყავთ გოგონები და მათ აჭარაში გახსნილ ბორდელებში ასაქმებენ.

გასული კვირის დამლევს დეპუტატმა ბათუმში ბორდელების საწინააღმდეგო აქცია გამართა. მან ხელისუფლებას მდგომარეობის გამოსასწორებლად გარკვეული პერიოდი მისცა.

ხელისუფლება კი ამტკიცებს, რომ იქ ისეთი არაფერი არ ხდება. ადგილობრივები კი საპირისპიროს ამტკიცებენ. მათი თქმით, თურქი მამაკაცების ქმედება ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ბათუმელების თქმით, საღამოს ქალები ქუჩაში ფაქტიურად ვერ გადიან, რადგანაც მათ თურქი მამაკაცები შეურაცხყოფას აყენებენ. ეს კაცები, ადგილობრივების თქმით, თურმე არც ქალების გვერდით მდგომ მეუღლეებს ერიდებიან. ამ ნიადაგზე ბათუმში უკვე რამდენჯერმე მოხდა კონფლიქტი.

მართალია ეს ინფორმაციები გახმაურდა, მაგრამ ვითარება არ შეცვლილა. ამ ფრონტზე გაჩერებას არც ოპოზიცია აპირებს. პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე დეპუტატმა ბალათურიამ ხელისუფლება სუტენიორობაში დაადანაშაულა. მანამდე კი პარლამენტის წევრების სამივლინებო ხარჯებით დაინტერესდა.

სიტყვით გამოსვლისას მან შესაბამისი ოფიციალური შეკითხვით პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესა და აპარატს მიმართა. მისი თქმით, საბიუჯეტო სახსრები ყველაფერთან ერთად, პარლამენტის წევრების დროსტარებაზე იხარჯება.

– გთხოვთ, მოგვაწოდოთ სამივლინებო ხარჯები, რა ჯდება პარლამენტის წევრების მოგზაურობები. რა დაჯდა აქ წარმოდგენილი ხალხის მოგზაურობა, მაგალითად, შარშან, სექტემბერში, კლაიპედაში, ორკვირიანი დესანტი როცა იყო გადასხმული. მე მაქვს პარლამენტისა და მთავრობისთვის სამარცხვინო ფოტომასალა, თუ რითი ერთობოდნენ ბიუჯეტის ხარჯზე პარლამენტის წევრები და კონკრეტული მინისტრები, როგორ ფლანგავდნენ, ერთი მხრივ, ხალხის ფულს, და მეორე მხრივ, როგორ არცხვენდნენ ისინი სახელმწიფოს. როცა მინისტრი და პარლამენტის წევრი საზღვარგარეთ იმყოფება, როგორც ოფიციალური პირი და არაფხიზელ მდგომარეობაში სამარცხვინოდ იქცევა, სრულიად სამარცხვინოა, – აღნიშნა ჯონდი ბალათურიამ.

კლაიპედას შემდეგ ბალათურიამ იერიში სუტენიორებზე მიიტანა. ქართული დასის ლიდერი ამ ქმედებაში ხელისუფლებას სდებს ბრალს.

– აჭარაში ხელისუფლების წარმომადგენლები უბინძურესი ბიზნესით – საერთაშორისო ტრეფიკინგით არიან დაკავებულნი. რას ეძახით თურქულ ინვესტიციას? შუა აზიიდან მეძავების იმპორტს ჰქვია ინვესტიცია? მთავრობა ისე დაეცა, რომ პროსტიტუციით ფულის კეთებით არის დაკავებული. ამას პოპულარულ ენაზე სუტენიორობა ჰქვია, – აღნიშნა ჯონდი ბალათურიამ.

### რამდენი ბორდელია გონიოში

პრობლემა, რომელზეც დეპუტატი საუბრობს, აჭარას უკვე წლებია აწუხებს. აქ ყველამ იცის, რომ მათთან არალეგალურად ფუნქციონირებს ბორდელები. 2 წლის წინ აკადემიკოსმა ელიზბარ ჯაველიძემ საგანგებო განცხადება გაავრცელა. ჟურნალისტებს მან უთხრა, რომ ბათუმში თურქები ბორდელს=ბორდელზე ხსნიდნენ. მისი მტკიცებით, ამ ბორდელებში ტრაპიზონიდანაც კი ჩამოდიოდნენ თურქი მამაკაცები. რაც აქაური ბორდელების სიიაფით იყო განპირობებული.

როგორი ფასებია ახლა აქაურ ბორდელებში, ცნობილი არ არის. ხელისუფლება მათ არსებობას საერთოდ უარყოფს. თუმცა ხანდახან მაინც ჟონავს ინფორმაციები.

მაგალითად, რამდენიმე თვის წინ ჩვენმა სამართალდამცავებმა ტრეფიკინგის ბრალდებით ცოლ-ქმარი დააკავეს. ქმარი თურქეთის მოქალაქე იყო. ცოლი შუა აზიიდან. როგორც გაირკვა, მათ შუა აზიიდან რამდენიმე გოგონა ჩამოიყვანეს მოტყუებით.

რამდენიმე თვის წინ საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა, რომ ბათუმში უზბეკმა გოგონამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. რა იყო ამის მიზეზი, სამართალდამცავებს არ დაუკონკრეტებიათ. ბათუმში ამბობენ, რომ ის იქ მოტყუებით ჩამოიყვანეს და ბორდელში ამუშავებდნენ.

გამოცემა „ბათუმელების“ ინფორმაციით, ბორდელები გონიოშიც მრავლად ყოფილა. ადგილობრივების მტკიცებით, აქ 27 ასეთი დაწესებულებაა, რომლებიც როგორც სასტუმროები და კაფეები, ისეა გაფორმებული. გონიოს მოსახლეობა ამბობს, რომ მათ სოფელში შუა აზიიდან ჩამოსული 500 სექსმუშაკი საქმიანობს. ისინი მხოლოდ თურქ კლიენტებს ემსახურებიან თურმე.

გამოცემა „ბათუმელების“ ცნობით, გონიოს 450 მოქალაქის მიერ ხელმოწერილ განცხადებებს იმის დასტურად ინახავენ, რომ გონიოს სექსსოფლად გადაქცევის შესახებ გონიოს პოლიციით დაწყებული და საქართველოს პრეზიდენტით დამთავრებული, ყველას მისწერეს, მაგრამ გონიოს სექსზონად გადაქცევას არავინ შეუწუხებია.

სტატიის მომზადების პროცესში „ბათუმელებმა“ 40-მდე მოქალაქე ჩაწერა როგორც ფარულად, ისე – საჯაროდ, მათ შორის, „სასტუმროების“ მესაკუთრეები, კაფეების მენეჯერები, სექსმუშაკები, პოლიციელები და ტაქსის მძღოლები.

ქალები გონიოში ჟურნალისტებთან ღია საუბარზე კატეგორიულ უარს აცხადებენ. მათ ეს, ალბათ, უფრო აკრძალული აქვთ. მათ ჰყავთ თავიანთი შეფები, ანუ ისინი, ვისაც გოგონები საქართველოში ჩამოჰყავთ. გონიოელების აზრით, გოგონები, ძირითადად, სოფლებიდან, ღარიბი ოჯახებიდან მათსავე თანამემამულე ქალებს მოჰყავთ დასაქმების მიზნით. გოგონების დიდი ნაწილი მხოლოდ მშობლიურ ენაზე საუბრობს.

– აქ სურათებს იღებენ, თითქოს ოჯახებში დამლაგებლებად მუშაობენ, სინამდვილეში კი მეძავები ხდებიან, – ამბობს მათ შესახებ გონიოელი მ.გ.

მუშაობენ თუ არა შუა აზიის ქვეყნებიდან ჩამოსული გოგონები იძულების წესით? – „ბათუმელებს“ მათთვის პასპორტის წართმევის ფაქტი არ აღმოუჩენია, დანამდვილებით კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ გოგონებს თავიანთი „დამსაქმებლების“ წინაშე ფინანსური ანგარიშვალდებულება აქვთ: ჩამოსვლის შემდეგ ისინი იხდიან დაახლოებით 700 დოლარს – მგზავრობის ღირებულებას და 5000 დოლარს – დასაქმების საზღაურს. ვალის გადახდის შემდეგ კი, გამომუშავებული თანხის გაყოფა დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ინდივიდუალური მოლაპარაკების საგანია.

სექსმუშაკები გონიოში ერთი კლიენტისგან 150 დოლარს იღებენ, შესაძლებელია ფასდაკლებაც. ზოგი მათგანი ამბობს, რომ ქართველ მამაკაცს 3-ჯერ მეტი ფულის გადახდის შემთხვევაშიც კი არ გაყვება.

– არა, მე მხოლოდ თურქებს მივყვები. ჩემი კლიენტები მყავს, – ისმის ფარულ ჩანაწერებში ერთ-ერთი ქალის ხმა.

„სასტუმროს“ ქართველი მესაკუთრე კი „ქართველ კლიენტს“ ასეთ გამოსავალს სთავაზობს: „გინდა, შენი ქალი მოიყვანე და ნომერში შეგიშვებ. მე ვინც მყავს, ყველა დაკავებულია“.

ცოტა ხნის წინ გონიოში ერთი შემზარავი ფაქტი მოხდა. „ბათუმელების“ ცნობით, აბდულიშების მიერ გაქირავებულ სახლში მცხოვრები სექსმუშაკებიდან ერთ-ერთმა თავი ჩამოიხრჩო. გონიოში მოისმენ იმასაც, თითქოს „ეს ქალი ჯერ მოკლეს და შემდეგ ჩამოახრჩვეს“. საქმის გამოძიება ჯერ არ დასრულებულა, ქალი კი ბათუმის მერიამ დაკრძალა, როგორც უპატრონო მიცვალებული.

ქალის „პატრონმა“, თურქეთის მოქალაქემ, სასწრაფოდ დატოვა გონიო. მეზობლები ამბობენ, რომ აბდულიშის სახლში სხვა გოგონებიც აღარ გამოჩენილან.

კანონმდებლობის თანახმად, მოქალაქის გარდაცვალების შესახებ პოლიციამ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უნდა აცნობოს, რომელიც, თავის მხრივ, გარდაცვლილის ქვეყნის საელჩოს მიაწვდის ინფორმაციას, საელჩო კი ოჯახს დაუკავშირდება.

რატომ დაკრძალა ბათუმის მერიამ გარდაცვლილი მოქალაქე ურეხში, როგორც უპატრონო? – ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო, მაგალითად, ის, რომ გარდაცვლილის ვინაობის დადგენა, პასპორტის უქონლობის გამო, იქნებოდა შეუძლებელი. ეს ასე რომ ყოფილიყო, პირდაპირ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ მერიამ ტრეფიკინგის მსხვერპლი დაკრძალა. თუმცა, პოლიციის აჭარის მთავარ სამმართველოში „ბათუმელებს“ უთხრეს, რომ „გარდაცვლილ ყირგიზეთის მოქალაქის მშობლებს არ ჰქონდათ გადასვენების ხარჯები და იგი აქ ამიტომ დაკრძალეს“.

ბორდელების არსებობა, რა თქმა უნდა, გონიოს მოსახლეობას სიმშვიდეს ურღვევს. მოსახლეობა განსაკუთრებით აღშფოთებული არის იმის გამო, რომ ბორდელები სოფლის სკოლის გარშემოა განთავსებული. სკოლის მიმდებარე ტერიტორია მებორდელეებს ერთი მიზეზით იზიდავს – აქ საერთაშორისო მაგისტრალი გადის. თურქული ტრაილერები კი ამ გზით მოძრაობენ. გონიოს ბორდელების მომხმარებლები ძირითადად თურქი მძღოლები არიან.

ისინი ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ქალებს, სერიოზულ პრობლემებს უქმნიან.

გონიოს სკოლასთან მცხოვრები ირაკლი „ბათუმელებთან“ საუბარში ამბობს, რომ, როგორც კი ბინდდება, ადგილობრივი ქალები, ასაკის განურჩევლად, გარეთ გასვლას ერიდებიან:

– კაცები იმდენად მთვრალები არიან, რომ ნებისმიერ ქალს ჰკიდებენ ხელს. ამას რომ უყურებ, თავის შეკავება ძნელია. თუ იჩხუბებ, პოლიცია უცხო ქვეყნის მოქალაქის შეურაცხყოფისთვის მკაცრად გსჯის.

გონიოს სექსსოფლად ქცევამ მეზობლებიც გადაჰკიდა ერთმანეთს. ა. მ. ამბობს, რომ ერთმანეთს ველარ ელაპარაკებიან. ვინც უარი თქვა თავის საცხოვრებელში ბორდელის გახსნაზე, უკვე ხვდება, რომ თუ ასე გაგრძელდა, ტურისტებს საბოლოოდ უნდა დაემშვიდობოს, ანუ მათთვის სეზონი ჩავარდება და სახლებს ბანკები გაყიდის. სამაგიეროდ, ეს საფრთხე აღარ ემუქრება მათ, ვინც სახლები უკვე გასცა „სასტუმროებად“.

გონიოელების თქმით, სექსტურიზმისთვის სერვისს მათ სოფელში 27 დაწესებულება ქმნის.

„ბათუმელების“ ინფორმაციით, სოფელში სექსზონის ელემენტების გაჩენისთანავე 450-მა მოქალაქემ დაწერა განცხადება და გონიოს პოლიციას მიმართა დახმარების თხოვნით. ამ თხოვნაზე პოლიციამ ოფიციალურად უპასუხა, რომ საქმეში ვერ ჩაერევა.

იგივე წერილი მოქალაქეებმა ბათუმის მერს გაუგზავნეს, მერიამ – გონიოს პოლიციას. გონიოს პოლიციიდან ხალხმა იგივე-პასუხი მიიღო. მერე ახალგაზრდა ბიჭებმა ლევან ვარშალომიძეს შესჩივლეს. ვარშალომიძეს მათთვის უთქვამს: „რა გინდათ, თქვენც იგულავეთო“.

შემდეგ წერილი გონიოელებმა პარლამენტის თავმჯდომარეს მისწერეს. წერილს ხელს 450 მოქალაქე აწერდა. დავით ბაქრაძემ ამომრჩევლისგან მიღებული წერილი ისევ გონიოს პოლიციაში გადაამისამართა. წერილი მერე პრეზიდენტთან აფრინეს. ამ წერილმაც ისევ გონიოს პოლიციამდე „იმოგზაურა“.

თუმცა პრეზიდენტთან გაგზავნილ წერილს მოჰყვა განსხვავებული რეაქციაც – აქტივისტებთან გონიოს პოლიციიდან მივიდნენ და გააფრთხილეს, საჩივრების დაწერა აღარ გაებედათ.

მოკლედ რომ ვთქვათ, ძალიან მძიმე ვითარებაა. ხელისუფლების მტკიცებით, იქ არაფერი ხდება. ოპოზიცია და აჭარის მოსახლეობა კი საპირისპიროს ამტკიცებს.



2012, 20 ივნისი, №145

# ახლები გოროზიას წინააღმდეგ

ნათია ხურცილავა

**„ახალი მემარჯვენეები“ აცხადებენ, რომ დასავლეთ საქართველოში მოსახლეობას მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ სატელევიზიო პიარი კი არა, რადიკალური ზომების მიღება სჭირდება.**

ახლების აზრით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მცენარეული საფარი ნადგურდება და მოსახლეობა მოსავლის გარეშე დარჩება.

– გაზაფხულის დადგომიდან „ახალი მემარჯვენეები“ დასავლეთ საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემაზე – მცენარეების მავნებლების წინააღმდეგ რადიკალური ზომების მიღების აუცილებლობაზე ვსაუბრობთ. ამერიკულმა „თეთრმა პეპელამ“, „ოქროკუდამ“, გასულ წლებში მოსახლეობას სერიოზული პრობლემები შეუქმნა, ამიტომ ჩვენ ვთხოვდით ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს, წელს მაინც დროულად და ეფექტიანად ეზრუნათ, რომ ამ მავნებლებს ზიანი არ მიეყენებინათ მოსახლეობისთვის, – განაცხადა სპეციალურ პრესკონფერენციაზე „ახლების“ ერთ-ერთმა ლიდერმა მანანა ნაჭყებიამ.

მანანა ნაჭყებიას განცხადებით, ამას ხელისუფლებამ თითქოს ძალების მობილიზებით უპასუხა. თუმცა, როგორც ნაჭყებია აცხადებს, საქმე მხოლოდ სატელევიზიო პიართან გვაქვს.

„ახლების“ ინფორმაციით, მავნებლები სამეგრელოს,



გურიას, იმერეთსა და აჭარასაა მოდებული.

– თითქოს ფოთში საგანგებო შტაბებიც შეიქმნა, მაგრამ რეალურად სახეზე გვაქვს კვლავ მხოლოდ სატელევიზიო პიარი, ვირტუალურად არსებული შტაბი და შესაბამისი ორგანოების არაეფექტიანი საქმიანობა იმ მართლაც მასშტაბური უბედურების წინააღმდეგ, რომელიც ამ მავნებლებს მოაქვს მოსახლეობისთვის. ამ დროისთვის ვითარება ასეთია: მავნებლები მოდებული არიან მცენარეებს სამეგრელოში, გურიაში, იმერეთში, აჭარაში და მასობრივად ანადგურებენ მათ. მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა კი რამდენიმე რაიონში ლოკალური შეწამვლითა და მოსახლეობისთვის შხამ-ქიმიკატების დარიგებით ამოიწურება. თავად სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა გოროზია კი მის მიერ ზარ-ზეიმით გახსნილი შტაბის საქმიანობით არც დაინტერესებულა და არც ადგილებზე რეალურ ვითარებას გასცნობია, – განაცხადა მანანა ნაჭყებიამ.

მანანა ნაჭყებია მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრობს, რომელიც შეიძლება მოსახლეობას დაემუქროს.

– მოსახლეობა მართლაც უკიდურეს მდგომარეობაშია, შიშით ელოდებიან მავნებლების განვითარების მესამე ფაზეს, როდესაც ისინი უკვე მცენარეებიდან მათ ოჯახებში მოხვდებიან და წყალს დაუბინძურებენ, ასევე საკვებს და და შეუქმნიან სხვა ყოფით პრობლემებს, ხოლო ხეხილი და სხვა მოსავალი აბსოლუტურად განადგურებული იქნება. ამ ეტაპზე მავნებლების გავრცელებამ ისეთ მასშტაბს მიაღწია, რომ პრობლემის მოგვარება მხოლოდ ჰაერწვეთოვანი გზით ან შხამქიმიკატის შეფრქვევის სხვა ეფექტიანი ფორმის გამოყენებით არის შესაძლებელი, – აცხადებს ნაჭყებია.

„ახალი მემარჯვენეები“ სოფლის მეურნეობის მინისტრ ზაზა გოროზიას მოქმედებისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისკენ მოუწოდებენ.

მანანა ნაჭყებიამ კომენტარი „ახალი მემარჯვენეების“ მაჟორიტარობის კანდიდატებზეც გააკეთა.

– „ახალ მემარჯვენეებს“ მაჟორიტარობის კანდიდატები საქართველოს ყველა რაიონში ეყოლებათ, – განაცხადა ნაჭყებიამ.

„ახლების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ისაუბრა იმაზე, რომ მაჟორიტარი ადგილობრივი უნდა იყოს, რადგან ის თავისი რაიონის პრობლემას კარგად იცნობს.

– რეგიონებში ჩატარებულმა შეხვედრებმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ცნობადი სახეების თბილისიდან მივლინების პრაქტიკა არ ამართლებს და რაიონებს სჭირდებათ მაჟორიტარი, რომელიც იქ ტრიალებს, ძალიან კარგად იცის პრობლემები და რომელსაც შეუძლია, იბრძოლოს პარლამენტში საკუთარი რაიონის დასაცავად, – აღნიშნა ნაჭყებიამ.

„მემარჯვენეები“ მაჟორიტარი კანდიდატების ვინაობას ჯერჯერობით არ აკონკრეტებენ.

ნაჭყებიამ ისიც აღნიშნა, რომ „ახალი მემარჯვენეები“ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად მიიღებენ.

– ამასთან დაკავშირებით პარტიაში მიღებულია პრინციპული გადაწყვეტილება, რომელიც გადახედვას არ ექვემდებარება. ჩვენ, განსხვავებით სხვებისგან, მივიჩნევთ, რომ ამ არჩევნებზე შეიძლება ორი საკითხის ერთად გადაწყვეტა – არსებული ხელისუფლება წავიდეს უმცირესობაში და, ამავდროულად, შეიქმნას მრავალპარტიული პარლამენტი, – აღნიშნა მანანა ნაჭყებიამ.

# პარლამენტის ვიცე-სპიკერმა 5 ათას ადამიანს ფული მოპარა

თეა მარხვაიძე

**2008-2012 წლების მოწვევის პარლამენტი წარსულს ბარდება. გუშინ ერთ-ერთი ბოლო სხდომა გაიმართა. საგაზაფხულო სესიის ეგიდით კიდევ 2 სხდომა გაიმართება — ერთი პლენარული და ერთიც — რიგგარეშე. ამდენად, რა გასაკვირია, რომ გუშინ დეპუტატები ზედმეტად აქტიურები იყვნენ. ისინი ცდილობდნენ, რაც შეიძლება ორიგინალურები ყოფილიყვნენ.**

ქდმ-ს ლიდერი გიორგი თარგამაძე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს „ოპოზიციონერობანას“ თამაშში ადანაშაულებს.

– ახლოვდება არჩევნები და, ბუნებრივია, თამაშის წესები და თავისებურებები, რომლებიც ხელისუფლებას აქვს, უფრო მეტად ხდება გამოკვეთილი. სააკაშვილი, როგორც პოლიტიკური ლიდერი და ფიგურა, ახალი არ არის პოლიტიკური სინამდვილისთვის და მან თავი დაამახსოვრა საზოგადოებას იმით, რომ „მოქალაქეთა კავშირში“ წამყვანი ფიგურიდან შემობრუნება და კვლავ ხელისუფლებაში მოსვლა შეძლო. შევარდნაძის ხელისუფლების პირობებში, როცა იგი წლების განმავლობაში ერთ-ერთ წამყვანი ფიგურა იყო „მოქალაქეთა კავშირში“, ერთი წლის განმავლობაში მოახერხა დაერწმუნებინა საზოგადოება, რომ თითქოს დიდი ოპოზიცონერი იყო, შემდეგ კი ხალხი მას ალტყინებით ენდო. ეს არ იყო გასაკვირი, პოლიტიკური თამაშის წესებიდან გამომდინარე, როცა ჟვანია-სააკაშვილის გუნდმა სახელისუფლებო რესურსი გამოიყენა და ძველი რეჟიმის დასასრულის მოახლოებისას იქ გადახტნენ, საიდანაც ხელისუფლებაში შემობრუნება და მოსვლა შეძლეს. სააკაშვილი ამბობს, რომ ჩავარდა ინდუსტრიული ზონა და ეს იყო დიდი შეცდომა ფოთში, თითქოს ეს მთავრობა გიორგი თარგამაძის მთავრობაა და არა მისი. დადის და ტუქსავს პირდაპირ ეთერში კომერციულ ბანკებს და მათი მსუნაგობისა და გაუმაძღრობის შედეგად მიაჩნია ის, რომ ნახევარი საქართველო კრედიტების გამო ბინების გარეშეა დარჩენილი. გეგონება, მისმა უმრავლესობამ არ მიიღო ცვლილებები კანონებში, რომლებითაც ხელი გაუხსნა ბანკებს საიმისოდ, რომ ძალიან მარტივად, ზოგ შემთხვევაში, სასამართლოს გვერდის ავლითაც კი, შეუძლიათ ბინები ჩამოართვან მოქალაქეებს. ეს გააკეთა სააკაშვილმა და მისმა უმრავლესობამ, რასაც ჩვენ ვეწინააღმდეგებოდით, – განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

მის სიტყვას ნაციონალები ირონიული ღიმილით უსმენდნენ, თუმცა მისთვის პასუხის გასაცემად თავი დიდად არ შეუწუხებიათ. სხვა თუ არაფერი, ალბათ, თავადაც ხვდებიან, რომ სააკაშვილი ოპოზიციურ განცხადებებს აკეთებს.

ჰიპერაქტიური იყო გუშინ ჯონდი ბაღათურია. „ქართული დასის“ ლიდერმა ჯერ ბორდელების წინააღმდეგ გაილაშქრა, მერე კი კოლეგებს დაერია.

დეპუტატის განცხადებით, პარლამენტს ჰყავს ვიცე-სპიკერი, რომელსაც 5 000 ადამიანი ფულის მოპარვას ედავება და ის მაინც ვიცე-სპიკერია. მან ეს განცხადება პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე რუსუდან კერვალიშვილის მისამართით გააკეთა, თუმცა მისი გვარი არ დაუსახელებია.



ბაღათურია ამ საკითხს მის მიერვე ინიცირებული ამნისტიის პროექტის პირველი მოსმენით განხილვისას შეეხო, რომელიც მთელი რიგი მუხლებით ექჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი ან მსჯავრდებული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლებას ითვალისწინებს და რომელსაც უმრავლესობა მხარს არ უჭერს.

– ჩემთვის გაუგებარია ხელისუფლების არგუმენტები ამნისტიის წინააღმდეგ მაშინ, როცა სანდრო გირგვლიანის მკვლელები ამავე ხელისუფლების დროს შეიწყალეს.

ასევე გაუგებარია, რა სამართლიანობაზე საუბრობს ხელისუფლება მაშინ, როცა აქლემის ქურდად ჰყავს პრეზიდენტიცა და პარლამენტის ვიცე-სპიკერიც. პრეზიდენტის ქურდობის დამადასტურებელი დოკუმენტები პარლამენტში წარმოგიდგინეთ, – აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

დეპუტატმა განაცხადა, რომ მას 187-გვერდიანი დოკუმენტი აქვს, რომელიც პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების კორუფციაში მონაწილეობას ადასტურებს. ეს დოკუმენტი დეპუტატმა რამდენიმე თვის წინ პარლამენტში წარმოადგინა. თუმცა მის მიერ აფრიალებულ კომპრომატებს არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია. არადა, ბაღათურია ითხოვდა, ამ საბუთების მიხედვით პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხია დასაყენებელიო.

მან საიმპიჩმენტო ხელმოწერების შეგროვებაც დაიწყო. ხელი მხოლოდ 6 დეპუტატს აქვს მოწერილი.

არადა, მეიმპიჩმენტე ნაციონალებს ეუბნებოდა, ახალ საქართველოში ბილეთი თუ გინდათ, ხელი მომიწერეთო. ხელი არავინ მოაწერა.

ბაღათურიას ბრალდებებს პარლამენტის ვიცე-სპიკერი რუსუდან კერვალიშვილი დაუსაბუთებელს უწოდებს.

როგორც კერვალიშვილმა „ნიუსპრესს“ განუცხადა, ნებისმიერი განცხადება, რომელიც არ არის დასაბუთებული, ადამიანის უფლებებსა და უდანაშაულობის პრეზუმფციას არღვევს. მისი თქმით, ასეთი სახის განცხადება მისასალმებელი არ არის.

## რუსული მედია „მადნეულისა“ და „კვარციტის“ გაყიდვის შესახებ იუწყება

კომპანია „ჯეოპრო მაინინგმა“ „მადნეული“ და „კვარციტი“ 120 მილიონ დოლარად გაყიდა. ამის შესახებ ინფორმაციას რუსული მედია კომპანიის წარმომადგენლებზე დაყრდნობით ავრცელებს.

ოქროს მომპოვებელმა კომპანია „ჯეოპრო მაინინგმა“ „მადნეულის“ და „კვარციტის“ გაყიდვის შესახებ გარიგებას ხელი 14 ივნისს მოაწერა, თუმცა კომპანიას მყიდველებზე ინფორმაცია ჯერ არ გაუვრცელებია.

„ჯეოპრო მაინინგი“, რომელიც რუსული ბიზნესჯგუფ „პრომიშლენი ინვესტორის“ შემადგენლობაში შედის, „მადნეულის“ და „კვარციტის“ აქციების მფლობელი 2005 წელს გახდა. მისი მიზანი იყო კავკასიაში ოქროს წარმოებაში ლიდერი გამხდარიყო.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, ეს სტრატეგია წარმატებული აღმოჩნდა და ამ საწარმოებმა „ჯეოპრო მაინინგის“ მმართველობის პერიოდში წლიური მოგება ხუთჯერ გაზარდეს.

რუსული მედიის ცნობით, ამ ეტაპზე ცნობილია მხოლოდ ის, რომ ახალი მფლობელი საქართველოში ოქროს მოპოვებაზე მუშაობას გააგრძელებს და საქმიანობას კიდევ უფრო გააფართოვებს.

როგორც კომპანიაში განმარტავენ, აქტივების გაყიდვა კომპანიის სტრატეგიულ განვითარებას უკავშირდება. ისინი ფიქრობენ, რომ ქართული აქტივების გაყიდვა არის საუკეთესო ვარიანტი კომპანიის აქციონერებისთვის.

ინტერპრესნიუსი

## დავით ბაქრაძე კაჭრეთის პროფესიულ კოლეჯს ესტუმრება



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, პროფესიული განათლების ვაუჩერული დაფინანსების მეორე ეტაპის დაწყებასთან დაკავშირებით, დღეს კაჭრეთის პროფესიულ კოლეჯ „აისს“ ესტუმრება და ახალი პროგრამით დაფინანსებულ პროფესიული განათლების სტუდენტებს შეხვდება.

პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, სტუდენტებთან და პედაგოგებთან შეხვედრის შემდეგ, დავით ბაქრაძე კოლეჯში არსებულ საწნახელს, ღვინის სახლს, მარანს, სხვადასხვა სახელოსნოებს დაათვალიერებს და სწავლების პროცესს ადგილზე გაეცნობა.

მათივე ცნობით, მრავალპროფილიან კოლეჯში სტუდენტები ფერმერის, მეღვინე-მევენახის, მეფუტკრის, ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებლის, სასურსათო პროდუქტების წარმოების, ვეტერინარული მომსახურების, ტრაქტორისტ-მემანქანის, სასტუმრო საქმის მწარმოებლის, მიმღებ რეცეფციონისტის, გიდის (გეოტურიზმი და ა.შ.), ტუროპერატორის (აგრო ტურიზმი), მზარეულის, კალატოზის, მებათქაშის, მეფილე-მომპირკეთებლის, დურგლის, ელექტრიკოსის, ძრავის შემკეთებლის და სავალი ნაწილის ტექნიკოსის პროფესიებს ეუფლებიან.

პროფესიული განათლების დაფინანსების ახალი სისტემა საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით 2012 წლიდან მოქმედებს და სახელმწიფო ბიუჯეტიდან 7 მილიონი ლარია გამოყოფილი. ამ ეტაპზე საქართველოს მასშტაბით უკვე 2500, მათ შორის 1700 სოციალურად დაუცველი სტუდენტია დაფინანსებული.

## კახეთში 23 წლის ახალგაზრდა დენის დარტყმის შედეგად გარდაიცვალა

კახეთში 23 წლის გიორგი ნაროზაშვილს საკუთარი საცხოვრებელი სახლის სახურავზე დენმა დაარტყა.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იტყობინება, უბედური შემთხვევა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვებაში მოხდა. თვითმხილველების თქმით, დენი სახლის სახურავზე ელექტროსადენიდან გადავიდა. 23 წლის ახალგაზრდა საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

ინტერპრესნიუსი

## „თავისუფალი საქართველო“ თბილისში მოუწესრიგებელი გზების პრობლემას აპროტესტებს



პარტია „თავისუფალი საქართველო“ თბილისში მოუწესრიგებელი გზების პრობლემას აპროტესტებს.

პარტიის გენერალურმა მდივანმა ალექსანდრე შალამბერიძემ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აქცია გუშინ თბილისის მერიასთან, ნაძალადევის რაიონის მოსახლეობასთან ერთად გამართა.

შალამბერიძის განცხადებით, ნაძალადევში, თმოგვის ქუჩაზე უგზოობის გამო გადაადგილება თითქმის შეუძლებელია. მოსახლეობამ თბილისის მერიასა და რაიონის გამგეობას გზების მოწესრიგების თხოვნით რამდენჯერმე მიმართა. თუმცა, სარეაბილიტაციო სამუშაოები ამ დრომდე არ დაწყებულა.

„მივმართავთ პირადად გიგი უგულავას, ნაძალადევის მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი გზის საკითხი დაუყოვნებლივ გადაჭრას“– განაცახადა შალამბერიძემ და დასძინა, რომ აღნიშნულ ქუჩაზე ადამიანს სასწრაფო დახმარება რომ დასჭირდეს, უგზოობის გამო მას ვერ მიიღებს.

თმოგვის ქუჩის მაცხოვრებლები დღეს მერიას წერილს გაუგზავნიან, სადაც გზის რეაბილიტაციას მოითხოვენ.

ნიუსპრესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პაატა ზაქარეიშვილი: „თუ ბევრი ამომრჩეველი მოვა, არჩევნები ვერ გაყალბდება“

ნონა ცაბაძე

**ინტერვიუ ექსპერტ-კონფლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილთან**

*– ბატონო პაატა, ბოლო დღეებია სააკაშვილი საკუთარი თავის წინააღმდეგ გამოდის, აღარ მოსწონს ის, რაც მისი ინიციატივით არის გაკეთებული... აქამდე არ ცხოვრობდა ამ ქვეყანაში?*

– ყველა თავისი ნაქები რეფორმა თვითონვე ჩააფლავა. პირველ რიგში განათლების რეფორმა და მიმინოშვილის ის რვაწლიანი წარმატებული პროექტი რომ არსებობდა, ერთიანი საგამოცდო სისტემა და ამით ამაყობდა სააკაშვილი, ერთი ხელის მოსმით გადააყოლა მიმინოშვილს და, ღმერთმა უწყის, რა იქნება. როგორც თვითონ თქვა, ეს რვა წელი არასწორი გზით მივდიოდით განათლებაშიო. ახლა ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონა დაიწუნა. ეს არის სწორედ ის, რასაც სააკაშვილი ჰპირდება 2015 წლამდე ქართველ საზოგადოებას. 2015 წლამდე ღმერთმა დაგვიფაროს მისი ხელისუფლებაში ყოფნა, მაგრამ, რომ მიაღწიოს, ასევე ჩააფლავებს ყველაფერს და იტყვის, რომ ისე არ გაკეთდა, როგორც გვინდოდაო. ამიტომ კითხვა ისმება, რა გააკეთა სააკაშვილმა ამ ხნის განმავლობაში, გარდა იმისა, რომ ხიდი ააშენა მტკვარზე, რომელმაც გადაფარა ძველი თბილისის ხედები. აბსოლუტურად არაფერი ამ ადამიანის ხელიდან არ გამოსულა მეტ-ნაკლები სერიოზული და ანგარიშგასაწევი. პოლიცია იყო კორუმპირებული შევარდნაძის დროს, დღეს პოლიცია არის პოლიტიზირებული, ანუ, როგორც არ იყო პოლიცია, ისე დღეს არ არის. სასამართლო იყო კორუმპირებული, დღეს სასამართლო საერთოდ არ არსებობს, ანუ რასაც კი ხელი მოჰკიდა, ყველგან მივიღეთ კონტრშედეგი. შეიცვალა რაღაც, მაგრამ ის არ არის, რაც უნდა იყოს. როგორც შევარდნაძის დროს არ არსებობდა სახელმწიფო, ისე სააკაშვილის დროს სახელმწიფო არ არსებობს. ორჯერ ორი მარტო ოთხია, არც სამია და არც ხუთია. როგორც შევარდნაძის დროს იყო სამი, სააკაშვილის დროს არის ხუთი, მაგრამ ოთხი არ არის.

*– აქტიურად დადის რეგიონებში და კვლავ იძლევა დაპირებებს...*

– ხალხს ვეღარ აგროვებს. დარწმუნებული ვარ, გამწარებული დარბის. როცა ნახა, ოზურგეთში რამდენი ხალხი გამოვიდა, აღარ ვლაპარაკობ ქუთაისსა და თბილისზე. როცა 2003 წელს დავდიოდით, მაშინ მეც სააკაშვილთან ერთად დავდიოდი რეგიონებში და სააკაშვილთან შესახვედრად ქუთაისში 25 კაცი გამოვიდა, ეს ძალიან კარგად მახსოვს. გამწარებული იყო სააკაშვილი, ფეხით მოირბინა ახლომახლო ეზოები, რომ ხალხი გამოეყვანა და არავინ გამოჰყვა. მაქსიმუმ 30 კაცი შევკრიბეთ. ივანიშვილთან შესახვედრად რომ 35 ათასი კაცი გამოვიდა, ეს სააკაშვილისთვის დამანგრეველი იქნებოდა. ძალიან საინტერესო ეპიზოდი, როგორც ყოველთვის ამას ხალხი ყურადღებას არ აქცევს. სააკაშვილმა ამას წინათ ძალიან თამამად ახსენა ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის სახელი ქრისტიან-დემოკრატების და შემდეგ ასევე თამამად ახსენა მისი თავმჯდომარის, გიორგი თარგამაძის გვარი. ისიც კი თქვა, რომ ტელეფონით დავურეკავდიო, ანუ მან დააფიქსირა სიახლოვე თარგამაძესთან. ე.ი. 2011 წლის სექტემბრიდან გამოჩნდა ივანიშვილი და სააკაშვილს ჯერ პირიდან ვერ წამოსცდა „ქართული ოცნება“, როგორც პოლიტიკური მოძრაობა და მით უმეტეს ბიძინა ივანიშვილი. რამდენად ტრავმირებულია ადამიანი, რომ იოლად წარმოთქვამს გიორგი თარგამაძის გვარს და ამით ცდილობს დააფიქსიროს ვითომ სხვა ოპოზიცია და რეალური ოპოზიციის გვარსა და სახელს ვერ ამბობს. ფაქტია, რომ ადამიანი საკმაოდ ტრავმირებულია და ქვეყნის პირველი პირი რომ არ იყოს, შესაცოდიც კი იქნებოდა, მაგრამ დღეს არ არის სიბრალულის დრო, კაცი გასასტუმრებელია ხელისუფლებიდან. რა დაპირებებიც არ უნდა ჩამოარიგოს, მისი აღარავის სჯერა.

*– რატომ, ხომ დაჰპირდა ფოთში დევნილებს, ჩემი პრეზიდენტობის ვადაში ყველას საკუთარი ჭერი გექნებათო...*

– დევნილებმა უნდა შეახსენონ, რომ დევნილებს ამას 2007 წლის დეკემბერში ჰპირდებოდა, რომ რამდენიმე თვეში აფხაზეთში დააბრუნებდა. ხაზს უსვამდა, მე წელს კი არა, თვეებს ვამბობო. მე თუ გავხდები პრეზიდენტი, რამდენიმე თვეში თქვენ სახლებში დაბრუნდებითო. მან თქვა ეს 2007 წლის 12 დეკემბერს, თბილისის მერიაში ხვდებოდა დევნილებს. ამიტომ კეთილი ინებონ დევნილებმა და შეახსენონ სააკაშვილს ეს სიტყვები. დღეს სადაც საზოგადოებას პრობლემები აქვს, ყველგან მიდის სააკაშვილი და ვითომ ამით ქულებს იწერს. პერიოდულად რაღაც მოუვლის ხოლმე და... გახსოვთ, ერთი პერიოდი მინისტრებს რომ დაერია, თქვენთან დარეკვა შეუძლებელიაო და მთელი ერთი კვირა მინისტრები ტელეფონებზე მოსახლეობას რომ პასუხობდნენ? რაღაცას მოიგონებს, ვიღაცას გადაუვლის, გადმოუვლის, მერე ისევ ყველაფერი ძველებურად რჩება. ამას აკეთებს მხოლოდ სხვის დასანახად. ვითომდა საზოგადოებაში შეიტანოს განწყობა, რომ აი სააკაშვილი მათზე ზრუნავს. იგივე ბანკირებზე გაკეთებული განცხადება რომ გავიხსენოთ, ხალხის გასაგონად ასე ამბობს და მეორე წუთს დაურეკავს ბანკირებს და ეტყვის, კარგად მუშაობთ, ნურაფრის გეშინიათო. ბანკირებმა ძალიან კარგად იციან, რომ ერთი ბუზიც არ აუფრინდებათ თავზე, ვიდრე სააკაშვილი ხელისუფლებაშია. სწორედ ასე ეტყოდა სააკაშვილი.

*– ყოველთვის გამონახავს ხოლმე ისეთს, ვისზეც ჯოხი გადატყდება და ვინც შეეწირება სიტუაციას...*

– ეს არის მხოლოდდამხოლოდ მიამიტი ხალხის მოსატყუებლად, რომ ერთი კაცის დასჯით თითქოს ბანკებს სჯიან. ბანკები არ დაისჯებიან, დაისჯება თითო-ოროლა ადამიანი და ამით მეტი არაფერი შეიცვლება, აბსოლუტურად არაფერი. სად შეიცვალა რამე, სადაც სააკაშვილმა გააკრიტიკა ესა თუ ის სამსახური? ავიაკომპანიები გააკრიტიკა ამას წინათ, ძვირია ფასებიო... რამე შეიცვალა? დაეცა ფასები თუ რა.

*– 35 ლარად რომ უნდა გვეფრინა, იმას გულისხმობთ?*

– საბჭოთა კავშირს აბრუნებს. არადა, ერთი პერიოდი დასცინოდა იმ მეოცნებე ხალხს, რომლებსაც მოსკოვში 37 მანეთად ფრენა ახსოვთ და ენატრებათ. თვითონ ახლა იმავე ილუზიებს უქმნის ხალხს, ოღონდ მოსკოვში კი არა, ევროპაში გაფრენას ჰპირდება. რა მნიშვნელობა აქვს, სად აფრენ. ქვეყანაში ღარიბი კაცი არ უნდა არსებობდეს, რომელიც 35 ლარზე იოცნებებს. ესაა ტრაგედია, რომ მას სჭირდება ღარიბი ხალხი და რუსეთს უცვლის ევროპით. რა ღარიბიც იყავი საბჭოთა კავშირის დროს, ის ღარიბი ხარ დღესაც და არაფერი გეშველება. აი, ეს არის სააკაშვილის მესიჯი ქართველი ხალხისადმი.

*– თქვენი აზრით, რამდენად „ჭამს“ ხალხი სააკაშვილის დანაპირებს?*

– ის, რაც მოხდა თბილისში, ქუთაისში და შემდეგ ოზურგეთში, ჩანს, რომ საქართველოს მოსახლეობას მკაფიოდ გამოკვეთილი პოზიციები გააჩნია. ეს უკვე ის საქართველო აღარაა, რომელსაც სააკაშვილი ასე იოლად აყლაპებდა ათას სისულელეებს. აღარ სჯერა ხალხს მისი სისულელეების.

*– რა დაგანახვათ თქვენ ამ აქციებმა?*

– მთავარი, რაც დავინახეთ ყველამ ერთად, არის ის, რომ მიუხედავად ხელისუფლების ზეწოლისა, შანტაჟისა და მუქარისა, ქართველ საზოგადოებას აღარ ეშინია, ხოლო თუ სადმე ვინმეს რამის ეშინია, ეს არის უკვე მათი პრობლემა. გურიაში არ ეშინიათ, იმერეთში არ ეშინიათ. ყველა კარგად უნდა მიხვდეს, რომ ამ ხელისუფ-



ლების კბილები ძალიან მოცვეთილია და სულაც არ არიან საშიშნი. ტყუილად ნუ ბაქიბუქობენ. გურიამ და იმერეთმა ეს დაადასტურა და ასე გაგრძელდება მთელ საქართველოში. თბილისი მაინც სულ სხვა იყო. თბილისი დედაქალაქია, აქ არის საელჩოები, აქ არის ტელევიზიები, გაზეთები, აქ მეტი თავისუფლებაა, ზეწოლა ნაკლებია, ხოლო რეგიონებში ძალიან სერიოზული ზეწოლაა. მიუხედავად ზეწოლისა, იმერეთმა და გურიამ კარგად გაისტუმრეს ხელისუფლების წარმომადგენლები, უთხრეს, ჩვენ არათუ არ გვეშინია, ამას ჩვენი ქცევითაც ვადასტურებთო.

*– ამის მიუხედავად, ხელისუფლება პროვოკაციებზე მაინც მიდის...*

– პროვოკაციაზე ყოველთვის სუსტი მხარე მიდის. ამით თავის თავს კიდევ უფრო ყიდიან. რაც უფრო მეტ პროვოკაციულ ნაბიჯს გადადგამს სააკაშვილი, მით უფრო გააძლიერებს მის მიმართ უნდობლობას და განამტკიცებს პოზიციას, რომ ის აუცილებლად უნდა წავიდეს.

*– თუმცა ხალხში მაინც არის განწყობა, რომ ასე მარტივად არ წავა...*

– რა თქმა უნდა, მარტივად არ წავა, ეს ბუნებრივია, მაგრამ არამარტივად წავა. მარტივად წავა თუ არამარტივად, მთავარია, რომ წავა. აი, ესაა მთავარი. ბუნებრივია, უნდა ვიყოთ ფრთხილად, უნდა ვიყოთ ყურადღებით, რათა მან არ ჩაითრიოს ქვეყანა საშინელ დაპირისპირებაში. მისგან ყველაფერია მოსალოდნელი, შესაძლოა, მიტინგების დროს მოუწყოს ხალხს დაპირისპირება, ჩხუბი აატეხინოს პროვოკატორებს, შემდეგ ეს გადაზარდოს დაპირისპირებაში. შესაძლოა შეიარაღებული ფორმირებები შექმნას რეგიონებში. მისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ძალიან ძნელია ავანტიურისტი ადამიანის თავში ჩახედვა. ძალიან ძნელია განსაზღვრო, როგორ მოიქცევა ის. ძნელია თქვა, რას გააკეთებს, მაგრამ, ფაქტია, რაღაცას მოიმოქმედებს. თუმცა მთავარი არ არის ის, რას მოიმოქმედებს, მთავარია, შენ როგორ მოექცევი. მაგალითად, ზოოპარკიდან რომ მტაცებელი ცხოველი გამოიქცევა, ის ყველა ადამიანს ხომ ვერ შეჭამს, ხალხი ფრთხილად იქცევა, არ აძლევს ამ ცხოველს იმის საშუალებას, რომ დაგლიჯოს. გაურბიან, ემალებიან, სპეციალურ სამსახურს იძახებენ მის უვნებელსაყოფად. სააკაშვილი არაადეკვატურად იქცევა და იმედი აქვს, ჩვენც შესაბამისად მოვიქცევით. ჩვენ კი ასე არ უნდა მოვიქცეთ, არ უნდა ვუპასუხოთ მის არაადეკვატურ ნაბიჯებს. მის არაადეკვატურობას უნდა ვუპასუხოთ გონივრულად, ფრთხილად, ისე, როგორც გალიიდან გამოქცეულ ცხოველს ვექცევით.

*– რამდენად შეძლებს სააკაშვილი ამ სიტუაციაში რუსეთისა და რუსული ძალების მტრის ხატად წარმოჩენას?*

– რა თქმა უნდა, მკაფიოდ უნდა იყოს დისტანცირება ივანიშვილის კოალიციისა რუსეთის მიმართ. მადლობა ღმერთს, კარგად ჩანს, რომ არანაირი პრორუსული ძალები აქ არ არის, პირიქით, მის გარშემო არსებული ძალები ყველა არის პროდასავლური, ნატოსკენ მიმართული. ამას მიტინგებიც კარგად აჩვენებს, რომ იქ, გარდა საქართველოს სახელმწიფო დროშისა და „ქართული ოცნების“ დროშებისა, არის ევროკავშირის დროშები და ნატოს დროშები, რაც მიანიშნებს იმას, თუ რა ღირებულებების მატარებელია ის ხალხი, რომლებიც იკრიბებიან ამ შეხვედრებზე. სააკაშვილს, რასაკვირველია, სურს დააჯეროს ქართველი საზოგადოება, რომ ივანიშვილის სახით რუსი მოდის. სინამდვილეში რუსი მოვიდა სააკაშვილის სახით. ის, რომ დღეს რუსეთი სრულებით ფლობს საქართველოს ტერიტორიას, აკონტროლებს მას და ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიები, ეს ხომ სააკაშვილის დამსახურებაა და მეტი არავისი. რუსეთი არის საფრთხე, მაგრამ ეს საფრთხე შექმნა სააკაშვილმა. დღეს უნდა, თავისი ცოდვები და დანაშაული დამალოს და სხვას გადააბრალოს, თუმცა ვერაფრით ამტკიცებს ამ ყველაფერს. ქართველმა საზოგადოებამ აჩვენა, რომ სააკაშვილის მიერ შეთხზული ზღაპრების არ სჯერა და სჯერა იმის, რომ ივანიშვილი დაამკვიდრებს ნამდვილ დემოკრატიას.

*– როდესაც ამდენი ბერკეტი მათ ხელშია, ხომ შეიძლება, ისევ გააყალბონ?*

– ბუნებრივია, რაღაცას გააყალბებს, მაგრამ ძალიან მცირეს, ამჯერად ის არჩევნებს ვეღარ გააყალბებს. სააკაშვილის ცოცხალი ამომრჩეველი, მათ შორის მოსყიდული, დაშინებული, რომელიც თავისი ხელით, თავისი ნებით ერთ ბიულეტენს ჩააგდებს ურნაში თავისი სახელით, ასეთი ამომრჩეველი მაქსიმუმ არის 25%, მეტი არა. ამდენი ამომრჩეველი შევარდნაძესაც ჰყავდა. ამას შეიძლება დაამატო მაქსიმუმ 10-15%, რომელსაც სააკაშვილი გააყალბებს, მკვდარი სულების გამოყენებით, კარუსელების გამოყენებით და ორი-სამი ბიულეტენის ჩაგდებით. მაქსიმუმ მას აქვს რესურსი 15%. ესეც შენი 40%. სააკაშვილს ამის მეტი არ აქვს. ხვალ რომ არჩევნები იყოს და ამ არჩევნებზე მიდის ცოცხალი ამომრჩევლის 80%, მაშინ სააკაშვილი 40%-ზე მეტს ვერ იღებს თავის ამომრჩეველ-არამომრჩევლიანად. 60%-ს თავისუფლად იღებს ოპოზიცია. მე ვლაპარაკობ ხვალინდელ დღეზე დღევანდელი გადასახედიდან. რასაკვირველია, სააკაშვილს აქვს გაყალბების რესურსები, მაგრამ – ძალიან მცირე. თუ ამომრჩევლის 80% მაინც მივიდა არჩევნებზე, სააკაშვილს ხელიდან ეცლება ყველანაირი შანსი. რაც უფრო მეტი ამომრჩეველი მიდის, ხელისუფლება მით უფრო ვერ აყალბებს. ყველაფერი დამოკიდებულია არა სააკაშვილზე, არა ივანიშვილზე, არა ვაშინგტონზე, არა მოსკოვზე, არამედ ქართველ ხალხზე, ცოცხალ ქართველ ამომრჩეველზე.

*– საკმაოდ დიდი სამზადისი აქვს ხელისუფლებას, მთელი ძალოვნები ერთვებიან არჩევნებში, ვანო მერაბიშვილიც მიდის პოლიტიკაშიო...*

– სხვა რა დარჩენიათ ამ საცოდავებს. ეს მეტყველებს ზუსტად იმაზე, რომ პანიკაში არიან, შეშინებული არიან და რესურსები არ გააჩნიათ. მათი ქცევები ადასტურებს მათ სისუსტესა და შიშებს. ეს შეშინებული კაცის პოზიციაა და, თუ ვინმეს ამ შეშინებული კაცის ეშინია, ეს სასაცილოა.

## ივანიშვილის ჯარიმასთან დაკავშირებით აღსრულების ეროვნულ ბიუროს სასამართლო მიმართავს



საქართველოს კონტროლის პალატის გათვლებით, კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს ჯარიმის გადახდის ვადა გუშინ, 19 ივნისს ამოეწურა.

როგორც „ნიუსპრესს“ კონტროლის პალატაში განუცხადეს, საქალაქო სასამართლოს დადგენილება ოფიციალურად 12 ივნისს არის გამოქვეყნებული, რომლის მიხედვითაც ივანიშვილმა ჯარიმა ერთი კვირის ვადაში უნდა გადაიხადოს.

კონტროლის პალატის პრესსამსახურის ცნობით, ვადის ამოწურვის შემდეგ აღსრულების ეროვნულ ბიუროს კონტროლის პალატის მოთხოვნით, სასამართლო მიმართავს.

„ჩვენი გათვლებით, ბიძინა ივანიშვილის ჯარიმის გადახდის ვადა დღეს იწურება, თუმცა, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ნებისმიერ შემთხვევაში, კომპეტენცია სასამართლოსთვისაა გადაცემული და სასამართლო მიმართავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს“– განუცხადეს „ნიუსპრესს“ კონტროლის პალატაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილებითა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბიძინა ივანიშვილს 74 325 065 ლარის ჯარიმა ეკისრება. ივანიშვილის ჯარიმის გადახდას არ აპირებს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბიძინა ივანიშვილს კონტროლის პალატის 2 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე ჯამში 148 650 131 ლარიანი ჯარიმა დააკისრა.

პირველ შემთხვევაში, საქმე ეხებოდა მოსახლეობისთვის სატელიტური ანტენების დარიგებას. სასამართლომ ივანიშვილი წინასაარჩევნოდ, პოლიტიკური მიზნით, ამომრჩევლისთვის „გლობალ ტვ“-ს სატელიტური ანტენების უსასყიდლოდ გადაცემაში დაადანაშაულა.

მეორე შემთხვევაში კი, სასამართლომ განმარტა, რომ ივანიშვილმა საკუთარი მატერიალური სახსრებით პოლიტიკური და საარჩევნო მიზნებისთვის მისი კუთვნილი კომპანიების „ბურჯისა“ და „ელიტა ბურჯის“ სახელზე 239 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება დაარეგისტრირა, რომელთა გამოყენებითაც პოლიტიკურ გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მომსახურებას, ფაქტობრივად, უსასყიდლოდ უწევდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ივანიშვილის ადვოკატებმა ალექსანდრე ბარამიძემ და შალვა თადუმაძემ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს.

სააპელაციო სასამართლომ ბიძინა ივანიშვილს დაკისრებული ჯარიმა თითქმის გაუნახევრა და 74 325 065 ლარამდე შეუმცირა.

ადვოკატები საქმის გასაჩივრებას სტრასბურგის სასამართლოში გეგმავენ.

ნიუსპრესი

**გასწორება**

„ახალი თაობის“ 19 ივნისის ნომერში გაიპარა უზუსტობა. მასალაში, „პოლიტიკაში მოსვლას არ ვაპირებ“, ამ ფრაზის ავტორად მითითებულია სოსო ჯაჭვლიანი. ეს სიტყვები ნონა გაფრინდაშვილს ეკუთვნის. ამ შეცდომისთვის ორივე მათგანს და მკითხველს ბოდიშს ვუხდით.

2012, 20 ივნისი, №145

# დევნილებმა ლტოლვილთა სამინისტროსთან შიმშილობა დაიწყეს

შორენა გონგლაძე

კობა სუბელიანს წინასაარჩევნოდ დიდი თავსატეხი გაუჩნდა. გუშინ სუბელიანს დევნილებმა ცხვირწინ ლურჯი კარავი წამოუსკუპეს, სადაც რამდენიმე დევნილი საშიმშილოდ უკვე დაჯდა. სუბელიანის დასამშვიდებლად მინდა ვთქვა, რომ სამი ეს ის არ არის, რომელზეც ოცნებობდა, ეს ციფრი ზრდადია და მალე, ალბათ, მოშიმშილეთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება. ამ ეტაპზე სამი მოშიმშილეა და დანარჩენი სუბელიანმა თვალოს. მოკლედ, მოშიმშილეები ძირითადად წყნეთში ჩასახლებული დევნილები არიან და საცხოვრებელი ფართების დაკანონებას ითხოვენ. მართალია მათი „სოროები“, სადაც ისინი ცხოვრობენ, ხელისუფლების მაღალჩინოსანთა აპარტამენტებს ვერ შეედრება, მაგრამ, მაინც. მაგალითად, ერთ-ერთი მოშიმშილე, დავით თორდუა იმ ერთი ოთახის დაკანონებას ითხოვს, სადაც ათ წელზე მეტია თერთმეტი სული ცხოვრობს. აღნიშნული ფართი სულ ორმოცი კვადრატული მეტრია და ამ ფართში აბაზანა-ტუალეტი და აივანიც შედის, დარწმუნებული ვარ, თორდუების საცხოვრებელზე ბევრად უფრო დიდი და კომფორტული იქნება სუბელიანის ნაგაზების ბუნაგი, რომლითაც ბატონი კობა ფეისბუქზე ბუკასთან ასე იწონებს ხოლმე თავს. ასეა, დევნილები „ძაღლის ბედის“ მაგივრად, ბუკას ბედი მოგცემოდესო ხუმრობენ, მაგრამ სახუმაროდ ნამდვილად არ გვაქვს საქმე; იმედია ხელისუფლება ახლა მაინც გამოიფერთხავს ყურებს და ამ გახურებული წინასაარჩევნო კამპანიის დროს მაინც გააჩუმებს დევნილებს, მაგრამ არა მგონია დევნილებთან ტრადიციული დაპირებები გავიდეს. ამას უკვე კარგა ხანია ყავლი აქვს გასული. სუბელიანს უკვე საქმეზე გადასვლა მოუწევს. აქციის ორგანიზატორის, გიორგი ლალიძის თქმით, ლტოლვილთა სამინისტროსთან ეს უკვე რიგით მესამე აქციაა, აქციის მონაწილეთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

— ჩვენ ლტოლვილთა სამინისტროსთან უკვე მესამედ ვმართავთ საპროტესტო აქციას. აქციის მონაწილეთა ძირითადი მოთხოვნაა საცხოვრებელი ფართებით მათი დაკმაყოფილება. ეს ადამიანები არიან უკიდურესად გამწარებულები კობა სუბელიანისა და სააკაშვილის რეჟიმის მხრიდან. მათ ამ



წლების განმავლობაში არაერთხელ მიმართეს ლტოლვილთა სამინისტროს წერილობით, რათა გადაეწყვიტათ მათი პრობლემები, თუმცა, უშედეგოდ. მაგალითად, წყნეთში მცხოვრები დევნილები, ეს არის თორდუების ოჯახი, სადაც პირადად იყო ასული კობა სუბელიანი და მათ დაპირდა, რომ დაუკანონებდა საცხოვრებელ ფართს, მაგრამ აგერ რამდენიმე წელი გავიდა და არავის არაფერი დაუკანონებია. სამინისტროს მაღალჩინოსნები საკმაოდ უხეშად იქცევიან, როდესაც მათთან მიდიან დახმარების სათხოვნელად ადამიანები. მათ აყენებენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. ეს არის რიგით მესამე საპროტესტო აქცია, ჩვენ ამ აქციებს ნამდვილად არ შევწყვეტთ. დევნილებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მიმართონ პროტესტის უკიდურეს ფორმას და დაიწყონ შიმშილობა; მათ დასაკარგი აღარ აქვთ არაფერი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათი მხრიდან ხდება მათი სრული იგნორირება. სააკაშვილი გამოდის და აცხადებს, რომ დევნილებს აქცევენ ყურადღებას, მაგრამ სააკაშვილი ამ შემთხვევაში ცრუობს. ლტოლვილთა სამინისტროში გველეშაპივით უზით კობა სუბელიანი და საერთოდ არ აინტერესებს ეს ადამიანები. საინტერესოა, სად წავიდა ის მილიონობით გადმორიცხული თანხები, რომელიც დევნილებისთვის იყო განკუთვნილი. სწორედ ამ პრობლემების გამო ეს ადამიანები დაიწყებენ შიმშილობას და ამასთან ერთად, აქციის მონაწილეები მოითხოვენ კობა სუბელიანის გადადგომას. მარტო პიარით, რასაც სახელმწიფო აკეთებს დევნილებთან მიმართებაში, საქმე არ კეთდება და ეს ადამიანები არიან უკიდურესი გაჭირვების ზღვარზე და ვეცდებით, ამ ადამიანებს რაიმეთი მაინც დავეხმაროთ. ჩვენ ამ ხელისუფლებას სერიოზულ პრობლემებს შევუქმნით და ვაიძულებთ მოაგვარონ დევნილთა საცხოვრებელი სახლების პრობლემა, — აცხადებს გიორგი ლალიძე.

დავით თორდუა:

— მე დავიწყე შიმშილობა და არ შევწყვეტ მანამ, სანამ ჩემი და ბევრი ჩემნაირი ადამიანის პრობლემა არ მოგვარდება. მე და ჩემი ოჯახი ვცხოვრობთ ორმოც კვადრატულ ბინაში. ამ ორმოც კვადრატულში შედის აივანი, სამზარეულო, ტუალეტი. ამ ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობთ თერთმეტი სული, სამი წყვილი ცოლ-ქმარი თავისი შვილებით. წლების წინ, ეს ოჯახები შევიკედლე დროებით, რადგანაც არ ჰქონდათ არსად წასასვლელი იმ იმედით, რომ მათაც დააკმაყოფილებდნენ საცხოვრებელი ფართით, მაგრამ ამდენი წელი გავიდა და არავინ ყურადღებას არ გვაქცევს. წარმოიდგინეთ, ჩემი დასაწოლი ადგილი რომ არ არის, ხან ერთ ნათესავთან ვათევ ღამეს და ხან მეორე ნათესავთან. ჰოდა, დავწვები ახლა სუბელიანის სამინისტროს კართან და იქნებ ახლა მაინც დაინახოს ჩვენი გასაჭირი. ჩემი მოთხოვნაა, გამითავისუფლოს ბინა, ამოწერონ ჩემს ოჯახში მიწერილი ეს სამი ოჯახი. თუ უნდათ, საკუთარ ბინაში მიიწერონ. ათი წელია უკვე მე ვინახავ ამ დიდ ოჯახს და ადგნენ ახლა ბატონო და მეორე ათი წელი ლტოლვილთა სამინისტრომ შეინახოს. ძალიან მაინტერესებს ერთი რამ, რა ხარჯებთან და რა პროცედურებთან არის დაკავშირებული ბინების დაკანონება, როდესაც ცხოვრობს ამდენი წლის მანძილზე ადამიანი. მე არ ვითხოვ ახალ ფართს, ლტოლვილთა სამინისტროსგან მხოლოდ ვითხოვ იმ ფართის დაკანონებას, სადაც ვცხოვრობ.

ლიანა ბოხუა:

— როგორ თუ რას ვითხოვ, ამას რა კითხვა უნდა ამ მთავრობის ხელში. ადამიანურ პირობებს ვითხოვ და რაღაც სოროებში რომ შეგვყარეს, იმ სოროების დაკანონებას ვითხოვთ. საერთოდ მაინტერესებს, რას აკეთებს ეს სამინისტრო, რისთვის არსებობს, იმისთვის, რომ საკუთარი ჯიბეები ამოივსონ, ხალხის ფული ჭამონ და ტელევიზიით ხალხს ათასი ტყუილი მოუყვნენ? აქედან არ წავალ, მანამ არ დააკმაყოფილებენ მარტო ჩემსას კი არა, ყველა აქ მჯდომი ადამიანის პრობლემას. ეს პირველი დღეა, ხვალ და ზეგ კიდევ შემოგვიერთდება ხალხი, აქ ერთი და ორი ადამიანი კი არ მოვა საშიმშილოდ, ძალიან ბევრი მოვა და მოვაშორებთ ამ სამინისტროს თაღლით სუბელიანს. სწორედაც, ჩვენ მოვითხოვთ თაღლითი და მატყუარა, ბიუჯეტის მჭამელი სუბელიანის გადადგომას. საკმარისია, რაც ჭამა და ატყუა ხალხი. მოვა დრო, ამ ადამიანებს პასუხი მოეთხოვებათ იმაზე, რაც ამ ქვეყანას და ამ გაჭირვებულ ხალხს გაუკეთეს.

# მამუკა ჯიბლაძე დაბრუნდა

ნათია ხურცილავა

გამოცდების ეროვნული ცენტრის ყოფილი თანამშრომელი, მამუკა ჯიბლაძე, რომელიც 11 ივნისს გაუჩინარდა, გუშინ დილით სახლში დაბრუნდა.

ჯიბლაძის ნათესავებმა ჟურნალისტებს აცნობეს, რომ მამუკა ჯიბლაძემ გამოძიება მოისურვა და გაუჩინარების მიზეზებზე საუბრისგან თავი შეიკავა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 18 ივნისს გაავრცელა ინფორმაცია, რომ მამუკა ჯიბლაძე 17 ივნისს ვიდეოკამერებმა დააფიქსირეს თბილისში, სასტუმრო „ჰოლიდეი ინის“ მიმდებარე ტერიტორიაზე.

ჯიბლაძე, როგორც ცნობილია, ასევე გამოჩნდა კოლმეურნეობის მოედანთან, მეგობარს შეხვდა და შემდეგ ტაქსიში ჩაჯდა. როგორც ცნობილია, მას მეგობარმა უთხრა, რომ ეძებდნენ.

სამინისტროს მიერ გავრცელებულ მოკლე განცხადებაში კი ნათქვამია:

— მამუკა ჯიბლაძე, რომელიც მიმდინარე წლის 11 ივნისს სახლიდან გავიდა და უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა, გამოჩნდა და ამ დროისთვის იმყოფება საკუთარ ბინაში.

როგორც საინფორმაციო სააგენტო „პირველს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ზურაბ გვენეტაძემ განუცხადა, მამუკა ჯიბლაძე დაიკითხება და მისი გაუჩინარების დეტალები საზოგადოებისთვის ცნობილი მოგვიანებით გახდება.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ყოფილი თანამშრომლის გაუჩინარების შესახებ ინფორმაცია ცენტრის ყოფილმა თანამშრომლებმა გაავრცელეს, მოგვიანებით კი მათ განცხადებით მიმართეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ძებნა დაწყებულიყო.

# პავლე კუბლაშვილი ვანო ჩხარტიშვილს მითვისებული ანაბრების დაბრუნებას ურჩევს



პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი ბრიტანეთში მყოფ ქართველ ბიზნესმენს ვანო ჩხარტიშვილს ურჩევს, ტელეკომპანია „მზის“ ნაცვლად, მოქალაქეების მითვისებული ანაბრების დაბრუნებაზე იზრუნოს.

„თუ ვინმე საქართველოში კორუფციასთან იყო ასოცირებული, ეს არის ვანო ჩხარტიშვილი“ — განუცხადა „ნიუსპრესს“ კუბლაშვილმა ჩხრატიშვილის გეგმების კომენტირებისას.

მისი თქმით, ჩხარტიშვილმა დღეს რამდენიც არ უნდა ეცადოს „შთაგონებული იდეებით საზოგადოებას თავი მოაწონოს, არ გამოუვა“.

„თუ ჩხარტიშვილს რამისთვის ბრძოლა მართლა სურს, დაიწყოს ბრძოლა ანაბრების დაბრუნებისთვის“ — განაცხადა კუბლაშვილმა.

დეპუტატის განცხადებით, ტელეკომპანია „მზე“ ჩხარტიშვილისთვის არავის წაურთმევია და ამ დავას არანაირი სამართლებრივი პერსპექტივა არ აქვს.

ქართველი ბიზნესმენი, ყოფილი დეპუტატი ვანო ჩხარტიშვილი ტელეკომპანია „მზეში“ მისი წილის მითვისებაში საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ადანაშაულებს და დავას საქართველოსა და საერთაშორისო სასამართლოებში წარმართავს გეგმავს.

ნიუსპრესი

# დაზარალებული მეანაბრეები ხელისუფლებას უნიკალური პროექტით დაინტერესებას სთხოვენ

სახელმწიფოს მიზეზით დაზარალებულ მეანაბრეთა საკომპენსაციო ფონდი ხელისუფლებას ზარალის ანაზღაურების ექსკლუზიურ პროექტს სთავაზობს და მის განსახორციელებლად შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნას სთხოვს.

ფონდის დამფუძნებლებმა გუშინ პრესკონფერენციაზე პროექტის თაობაზე ისაუბრეს. როგორც ფონდის თავმჯდომარემ მალხაზ ცისკარიშვილმა განმარტა, ფონდმა უნიკალური პროექტი შეიმუშავა რომლის მიხედვით, მეანაბრეთა ზარალის ანაზღაურება ისე უნდა მოხდეს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს ტვირთად არ დააწვეს.

მისი თქმით, ეს პროცესი რამდენიმე ეტაპს მოიცავს, უპირველესად სახელმწიფომ ზარალი უნდა აღიაროს, შემდეგ უნდა დადგინდეს დაზარალებულ მეანაბრეთა რეალური რაოდენობა და მოხდეს მათი ინდექსაცია, ხოლო ბოლოს, კონკრეტული მეანაბრის მიერ დაკარგული თანხის ოდენობა მოქმედ ვალუტაში უნდა განისაზღვროს.

„სახელმწიფომ დაზარალებულებს უნდა მისცეს თამასუქი ანუ ფასიანი ქაღალდი. ამის შემდეგ, უნდა მიიღოს კანონი, რათა თამასუქს მოქმედების ძალა მიეცეს. მეანაბრეს თამასუქის გაყიდვის უფლება ექნება. ის შეიძლება იყიდოს მეწარმემ, რომელიც გადასახადს, მაგალითად, ქონებისა და მოგების ამ ფასიანი ქაღალდით გადაიხდის“ — განაცხადა ცისკარიშვილმა და აღნიშნა, რომ თამასუქით სარგებლობას თავად მეანაბრეც შეძლებს, თუ ის სამეწარმეო საქმიანობას დაიწყებს.

იდეის ავტორთა განაცხადებით, პროექტი უნიკალურია, მსოფლიოში ანალოგი არ აქვს და ის საქართველოს საპატენტო უწყებაში დააპატენტეს.

ფონდის აღმასრულებელი დირექტორის თამაზ ვაშაკიძის განცხადებით, პროექტის შესახებ პრეზიდენტს და პარლამენტის სპიკერს აცნობეს, თუმცა, მისივე განცხადებით, ამ დრომდე იდეით არავინ დაინტერესებულა.

ვაშაკიძის განმარტებით, პროექტი გააცნეს ეკონომიკის სამინისტროს, რომელიც მას გარკვეული რისკების შემცველს უწოდებს.

ნიუსპრესი

# ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების გაცემა დაწყებულია

იუსტიციის სახლებსა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების გაცემა დაიწყო. სკოლის კურსდამთავრებულმა ატესტატის მისაღებად უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. განცხადების წარდგენიდან მე-10 სამუშაო დღეს დოკუმენტი უფასოდ გაიცემა, მოქმედებს დაჩქარებული მომსახურების სერვისიც და ატესტატის მიღება შესაძლებელია განცხადების წარდგენის დღიდან მე-5, მე-3, მე-2 და იმავე სამუშაო დღესაც.

რუსთავის იუსტიციის სახლში დღეს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გიორგი ვაშაძემ 4 საჯარო სკოლის რამდენიმე კურსდამთავრებულს ატესტატები პირადად გადასცეს.

ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტს განეკუთვნება სრული ზოგადი განათლების ატესტატი, საბაზო ზოგადი განათლების ატესტატი და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სერტიფიკატი:

სრული ზოგადი განათლების ატესტატს მიიღებს პირი, რომელიც 12 კლასს დაამთავრებს და გამოსაშვებ გამოცდებს ჩააბარებს;

საბაზო ზოგადი განათლების ატესტატს იღებს პირი, რომელიც 9 კლასს დაამთავრებს;

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სერტიფიკატს მიიღებს პირი, რომელიც 12 კლასს დაამთავრებს, მაგრამ ვერ ჩააბარებს ან, მონაწილეობას არ მიიღებს სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში.

იუსტიციის სახლები და სააგენტოები ატესტატებისა და სერტიფიკატების გაცემას მონაცემთა ელექტრონული ბაზის საფუძველზე უზრუნველყოფენ. მონაცემთა ელექტრონულ ბაზას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საინფორმაციო სისტემა შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე ადგენს.

იუსტიციის სახლებსა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში მოხდება ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ფორმების დუბლიკატების გაცემაც.

მედიანიუსი

# საგამოცდო ბარათების დარიგება დაიწყო

დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები საგამოცდო ბარათებს უშუალოდ სკოლებში მიიღებენ, სკოლადამთავრებული აბიტურიენტები და პედაგოგები კი საგანმანათლებლო რესურსცენტრებში. მაგისტრანტობის კანდიდატებსა და გრანტის გაუმჯობესების მსურველებს კი საგამოცდო ბარათები იმ უმაღლეს დაწესებულებებში დაურიგდებათ სადაც ამჟამად სწავლობენ, — იუწყება გამოცდების ეროვნული ცენტრი.

ბარათზე მითითებულია საგამოცდო ცენტრი, თითოეული გამოცდის თარიღი და რეგისტრაციის დაწყების დრო. იგი პირადობის მოწმობასთან ერთად იქნება აბიტურიენტის საშვი მთელი საგამოცდო პროცესის განმავლობაში.

აბიტურიენტი უნდა გამოცხადდეს საგამოცდო ბარათში აღნიშნულ მისამართზე ბარათში მითითებული განრიგის მიხედვით და გაიაროს რეგისტრაცია. რეგისტრაციის გავლის შემდეგ აბიტურიენტს მიაცილებენ სამუშაო მაგიდასთან, სადაც იგი მიიღებს ტესტს. დაგვიანების შემთხვევაში აბიტურიენტი გამოცდაზე არ დაიშვება.

2012 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 35 000-ზე მეტი აბიტურიენტი დარეგისტრირდა.

მედიანიუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ლაზიკა შენელებული მოქმედების ნაღმია“

თამარ ნინიძე

## ინტერვიუ კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრ დავით კუპრეიშვილთან

*— სააკაშვილმა ბრძანა, რომ უცხოეთიდან შემოსული ფულით ხალხის მოსყიდვას ცდილობენო. რას იტყვით ამ განცხადებაზე?*

— სააკაშვილის ხელისუფლებას ყველანაირი საფუძველი გამოეცალა და სხვა მეტი არგუმენტი აღარ დარჩენია. კედელთან მიმწყვდეული და, მით უმეტეს, ასეთი არაჯანსაღი ფსიქიკის ადამიანი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ასეთ სისულელეს იტყვის. რაც ჩვენ ვნახეთ 27 მაისს თბილისში, შემდეგ ქუთაისსა და ოზურგეთში, შეიძლება ნორმალურმა ადამიანმა თქვას, რომ ესენი რუსეთიდან მოსყიდული ადამიანები არიან? ეს არის ქართველი ერის გამოფხიზლება. ამ რვაწლიანი ტანჯვის შემდეგ ხალხს იმედი გაუჩნდა. ეს მე მაგონებს ოცდახუთი წლის წინ ეროვნული მოძრაობის აღზევებას. თუ ვინმე ამის გამო მკრეხელობაში დამდებს ბრალს, ყველას მოვუწოდებ, ერთმანეთს შეადარონ კომუნისტური და მიშისტურ-ნაციონალური რეჟიმები. მაშინდელი კომუნისტების რეჟიმი დაფუძნებული იყო მაფიოზურ კლანებზე, დღევანდელი რეჟიმიც დაფუძნებულია ამაზე. ამათთვის აბსოლუტურად მიუღებელია საბაზრო ეკონომიკისა და კონკურენციის კანონები. ახლახან შემთხვევით გავიგე აფხაზეთში დაღუპული გოგიტა კიკნაძის სახელი. სკოლის მერხიდან ომში გაპარულმა თექვსმეტი წლის ახალგაზრდამ, წარმოიდგინეთ, რა გმირობა ჩაიდინა, რომ სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით იყო დაჯილდოებული. თბილისში მის სკოლას მისი სახელი ეწოდა და იქვე მოწყობილი იყო მისი ხსოვნის აღსანიშნავი კუთხე. ახალი განათლების მინისტრის მიერ დანიშნულმა დირექტორმა იმ სკოლაში მოაშლევინა ეს კუთხე და სკოლასაც ჩამოაშორეს რუს ოკუპანტებთან ბრძოლაში დაღუპული ქართველი გმირის სახელი. მე მდაბლად ვიხრი თავს მისი დედის, ქალბატონ ელენე კიკნაძის წინაშე, რომელსაც ნაცმოძრაობის გარეწარმა ხელისუფლებამ ხელმეორედ მოუკლა შვილი. ღმერთმა მის შვილს უდიდესი ქართველების სასუფეველში დაუმკვიდრა ადგილი და ერთი-ორი ზნედაცემული ავკაცის საქციელი მის სახელს ვერაფერს დააკლებს.

*— როგორია თქვენი კომენტარი „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ განხორციელებულ პროვოკაციებზე?*

— რა თქმა უნდა პროვოკაციებიც ზუსტად იგივე სცენარში ჯდება, მე შემიძლია ვთქვა, რომ ამ უაზრო პროვოკაციებს ხელისუფლება აწყობს ერთადერთი მიზეზით, მან იცის ქართველი ერის ფსიქოლოგია, იცის მისი ფიცხი ხასიათი, რომ უსამართლობას დიდხანს ვერ აიტანს და ცდილობენ ყოველდღიურად მოთმინებიდან გამოიყვანონ ადამიანები, აიძულონ კოალიციის მხარდამჭერები, გამოვიდნენ ქუჩაში, ამბოხება მოაწყონ და ძალით დაამხონ ხელისუფლება. ამის გამოწვევას ფიქრობს ეს ხელისუფლება, მაგრამ ბატონ ბიძინასაც კარგად აქვს გაცნობიერებული და მის გუნდსაც, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება. ხელისუფლების ეს პროვოკაციები უცხოელების მიერ ფიქსირდება. დასავლეთი აძლევს საშუალებას სააკაშვილს, ბოლომდე გამოამჟღავნოს თავი. ეს უბრალო სიგიჟე არ არის, ეს უკვე სიშლეგეა.

*— ექსპერტი მიხეილ თავხელიძე აცხადებს, რომ რასაც „ქართული ოცნება“ ხალხს ჰპირდება, აღვირახსნილი პროპაგანდაა. როგორია თქვენი აზრი ამ მოსაზრებაზე?*

— მიშა თავხელიძე ხელისუფლებისგან მოელის, რომ ეგებ რაღაცა თანამდებობა მიიღოს, ბიძინა ივანიშვილი საერთოდ არც ფიქრობდა პოლიტიკაზე, მაშინ აკეთებდა საქართველოსთვის სასიკეთო საქმეს და ქართველმა ხალხმა მხოლოდ მცირე ნაწილი იცის ამ კეთილი საქმეების. მოვუწოდებ ბატონ ბიძინას, გამოაქვეყნოს ეს ინფორმაცია თავისი საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ. მას ბიზნესი მარტო რუსეთში კი არა, სხვა ქვეყნებშიც ჰქონდა. თუკი მას ბიზნესი აქვს რუსეთში, საქმეს ისე ჭკვიანურად აკეთებს, რომ მის საწინააღმდეგოდ ვერაფერს პოულობენ. თუ ფულს აკეთებდა, თავის სამშობლოს ახმარდა. იაფფასიანი პოპულიზმი და პროპაგანდა თავხელიძემ თავისი ხელისუფლებისკენ უნდა მოიკითხოს. სააკაშვილი ივანიშვილის მიერ გაკეთებულ საქმეს თვითონ მიიწერდა ხოლმე და ტრაბახობდა ამით. სააკაშვილის გაკეთებული სისულელის მეტი ვერაფერი ვნახეთ, ქუთაისში მემორიალი რომ ააფეთქეს, დედა-შვილი დაიღუპა, მათი აშენებული პარლამენტის შენობა ჩამოინგრა და მუშა შეეწირა ამას. მათ მიერ ნაჩქარევად აშენებული შენობები ინგრევა. მიშა თავხელიძემ



მერე დათვალოს, ამას კიდევ რამდენი უბედურება მოჰყვება.

*— გურიასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ, „ქართულმა ოცნებამაც“ წარადგინა იქ მაჟორიტარი კანდიდატები და ნაციონალებმა წარმოადგინეს მინისტრ ნიკოლეიშვილისა და მიხო სვიმონიშვილის კანდიდატურები. ორივე საკმაოდ სერიოზული ფიგურაა და გავლენიანი. თქვენი აზრით, გურიაში დაძაბული ბრძოლა იქნება?*

— რა თქმა უნდა, ბრძოლა იქნება ძალიან რთული. მიხო სვიმონიშვილის საკუთრებაა ნაბეღლავის წყლები, ბიზნესი ბევრგან აქვს. ხალხი მზად არის ბოლომდე გვერდით დაუდგეს კოალიციას, ნაცმოძრაობა მოქავშირის ყლორტებია და ეს ხალხი დახელოვნებულია არჩევნების გაყალბებაში. რთული ბრძოლა მოუწევს „ქართულ ოცნებას“ იმიტომ, რომ ამ ხალხის ხმებს დაცვა სჭირდება თითოეულ უბანში, თითოეულ საარჩევნო ოლქში. სააკაშვილს არ უნდა ხელისუფლების დათმობა, იმიტომაც დარბის მთელ საქართველოში.

*— სააკაშვილმა პარლამენტში კანონპროექტი შეიტანა ლაზიკის მშენებლობაზე, რასაც ოპოზიციის მხრიდან ხმაური მოჰყვა. თქვენი აზრი როგორია ამ საკითხზე?*

— სააკაშვილი ვერ მოესწრება მაგის აშენებას. სააკაშვილმა ამის განხორციელება თუ შეძლო, ეს იქნება ქვეყნის დაღუპვა. ეს იქნება საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის რადიკალურად შეცვლა. სააკაშვილი აცხადებს, რომ ლაზიკა უნდა აშენდეს ხუთასი ათასი მოსახლისათვის. უმაღლესი დონის სასახლეები უნდა აშენდეს. ესენი ამბობენ, რომ მარტო კომუნიკაციებს მიიყვანენ იქ და სახელმწიფოს ამ ქალაქის აშენების საშუალება არა აქვს. ინვესტორების იმედი აქვთ. ინვესტორი ევროპიდან და ამერიკიდან კი არ შემოვა, არამედ ჩინეთიდან, ინდოეთიდან, აფრიკის ქვეყნებიდან, სადაც ჭარბია მოსახლეობა. ხომ ისინივე დასახლდებიან იქ, გეგულებათ ხუთასი ათასი ქართველი, რომელიც იქ შეძლებს ბინის ყიდვას? შავი ზღვის სანაპიროზე გვექნება კიდევ ერთი არაქართული კომპაქტურად დასახლებული ქალაქი ანუ შენელებული მოქმედების ნაღმი, რომელიც ყურმოჭრილი ამომრჩეველი იქნება ამ ხელისუფლებისა, თუ ესენი დარჩებიან მმართველობაში. მე ვუსმინე ლაზიკის იდეის ავტორს, სამწუხაროდ, მისი გვარი არ მახსოვს, ის ამერიკაში ცხოვრობს. როცა მან სააკაშვილს ეს იდეა შესთავაზა, ის გულისხმობდა იმას, რომ იქ აფხაზეთიდან დევნილი ქართველები უნდა დასახლებულიყვნენ. სააკაშვილი ცვლის



საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობას. ამ ადამიანს საქართველოს გადაჯიშება უნდა. სოფლის მეურნეობის აღორძინებისთვის ივანიშვილის მიერ შეთავაზებული ერთი მილიარდი არ მიიღო.

*— სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორი როლანდ ახალაია, ამბობენ, რომ ზუგდიდში აპირებს კენჭისყრას მაჟორიტარულ არჩევნებში. ასეთი ძლიერია ახალაიების კლანი, რომ ხელისუფლება მათ ანგარიშს უწევს?*

— სააკაშვილს აღარ დარჩა ხალხი. არ შეუძლია მაჟორიტარად გამოჩენილი და პატივსაცემი ხალხი წამოაყენოს. უნდა ისეთი ხალხი წამოაყენოს მაჟორიტარებად და სიებში, რომლებიც მისი ყურმოჭრილი მონები იქნებიან. ხალხმა იცის ავის და კარგის გარჩევა. ამბობენ, რომ ზუგდიდში ირაკლი ალასანია აპირებს კენჭისყრას. დარწმუნებული ვარ, ირაკლი ალასანია მოიგებს არჩევნებს.

*— არის ვარაუდი, რომ ხელისუფლება რუსეთთან ახალ სამხედრო ავანტიურაზე წავა, რომ არჩევნები ჩაშალოს. რამდენად არის ამის საფრთხე?*

— სააკაშვილს სამართლიანი არჩევნების ჩატარების შემთხვევაში არანაირი პერსპექტივა არა აქვს. არადა, ამერიკა და დასავლეთი ხედავს, რომ ყოველი ვიზიტის დროს საზღვარგარეთ და აქაც ჩამოსული უცხოელი პოლიტიკოსები ეუბნებიან, რომ სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები უნდა ჩაატაროს. სააკაშვილი ფიქრობს, დემოკრატიულ არჩევნებს წავაგებ, მაშინ ან უნდა ვეცადო, რომ ხალხი გამოვიყვანო ქუჩაში, ჯანყი მოვაწყობინო და მერე ჩავახშო ეს ამბოხება და მსოფლიოს ვაჩვენო, რომ ესენი მეამბოხეები იყვნენო, ან მეორე გზით ეცდება გამონახოს საგარეო მტერი და რუსეთი ჩვენი საგარეო მტერია უკვე ორასი წელია. შეეცდება პროვოკაცია მოაწყოს და ხალხი იაფ პატრიოტულ პროპაგანდაზე წამოაგოს. ამათი პატრიოტიზმი და ვაჟკაცობა 2008 წელს ვნახეთ, დავით ბაქრაძე ხალხს ეუბნებოდა, ხალხო, დავიცვათ ჩვენი ქალაქები ყველა საშუალებითო. თვითონ გარბოდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვარზე, რომ საქართველო დაეტოვებინათ. არ არის გამორიცხული, ახლაც იგივე გააკეთოს სააკაშვილმა. ლადო ვარძელაშვილს ვერავინ პოულობდა მაშინ, დამალული იყო, ახლა კი ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრად დანიშნეს. შეიძლება სააკაშვილი და პუტინი შეთანხმდნენ პატარა კონფლიქტის მოწყობაზე, რუსეთში პუტინმა თავის ოპოზიციას მოუაროს და აქ კი სააკაშვილმა.

---

## ვანო ჩხარტიშვილი ტელეკომპანია „მზის“ წილის მითვისებაში მიხეილ სააკაშვილს ადანაშაულებს



ბრიტანეთში მყოფი ქართველი ბიზნესმენი, ყოფილი დეპუტატი ვანო ჩხარტიშვილი ტელეკომპანია „მზეში“ მისი წილის მითვისებაში საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ადანაშაულებს.

ჩხარტიშვილის შესაბამისი განცხადება ჟურნალისტებს დღეს მისმა პრესსმდივანმა გააცნო.

განცხადებაში ჩხარტიშვილი აღნიშნავს, რომ „მზის“ მითვისების დოკუმენტურად დადგენილ დანაშაულში პრეზიდენტის აპარატის მაშინდელი უფროსი და თბილისის ამჟამინდელი მერი გიგი უგულავა და დეპუტატი დავით ბეჟუაშვილი აქტიურად მონაწილეობდნენ.

ჩხარტიშვილი აღნიშნავს, რომ ტელეკომპანია „მზეს“, სასამართლოს ძალისხმევით აუცილებლად დაიბრუნებს. პროცესები კი, საქართველოსთან ერთად საერთაშორისო სასამართლოებშიც დაიწყება.

„მნიშვნელოვანია, რომ ზემოაღნიშნულმა პირებმა უკანონო ქმედებით ჩემთვის მიყენებულ ზიანზე პასუხი არა საბიუჯეტო სახსრებით, არამედ პირადი ქონებით აგონ. მჯერა, რომ საერთაშორისო სასამართლო მათ სოლიდურ ფინანსურ სანქციებს დააკისრებს. ამოღებული თანხა თავისუფალი მედიის განვითარებას მოხმარდება“ — ნათქვამია ჩხარტიშვილის განცხადებაში.

იქვე აღნიშნულია, რომ ეს არ არის რიგითი ქონებრივი დავა, რომლის უკანაც კერძო ინტერესი დგას. დასტურად ჩხარტიშვილი აცხადებს, რომ დაბრუნების შემდეგ, ტელეკომპანია „მზე“ სამართავად საზოგადოებრივ საბჭოს გადაეცემა.

ჩხარტიშვილი დარწმუნებულია, რომ მისი ამჟამინდელი ნაბიჯები, ხელისუფლებისთვის მისი დევნის დამატებითი მოტივი გახდება, თუმცა, აქვე აღნიშნავს, რომ ყოველივე ეს სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლაზე ხელს ვერ აალებინებს.

ნიუსპრესი

---

# მზით უკვე ათეულობით ადამიანი დაიწვა

ნინო ღვედაშვილი

**დამწვრობის ცენტრს ბოლო ერთი თვის განმავლობაში ათეულობით ადამიანმა მიმართა. უმეტესობას მსუბუქი დამწვრობა აღენიშნება და ამბულატორიულ მკურნალობას გადის. სამი მათგანი კი სტაციონარში მოათავსეს. დამწვრობის ერთი შემთხვევა ლეღვის ფოთლების ნახარშით რუჯის მიღებამ გამოიწვია.**

წინა წელს ლეღვის ფოთლის ნახარშით გარუჯვის მცდელობისას 50-მდე ადამიანი დაიწვა. სპეციალისტების თქმით, გარუჯვის ეს მეთოდი სიცოცხლისთვის სახიფათოა. მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად მედიკოსები მოქალაქეებს 12:00 საათიდან 17:00 საათამდე მზეზე გასვლისგან თავის შეკავებას ურჩევენ.

გარუჯვა არის კანის გამუქება, რასაც იწვევს კანის გარე შრეში მელანინის დიდი რაოდენობით დაგროვდება. ულტრაიისფერი სხივების მოქმედების შედეგად, ორგანიზმში წარმოიქმნება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები. ისინი ასტიმულირებენ ნივთიერებათა ცვლას, ნერვული სისტემის ფუნქციონირებას, იმუნურ გამძლეობას ინფექციური და სხვა სახის დაავადების მიმართ.

გარუჯვა ორგანიზმის დამცავი რეაქციაა. ამ დროს კანის რქოვანი ფენა სქელდება. მელანინი კი შთანთქავს სხივებს და გრძელტალღოვანი ულტრაიისფერი სხივებისგან გვიცავს.

მზის ზემოქმედების დადებით მხარესთან ერთად მზეზე დიდხანს ყოფნა საფრთხეს გვიქმნის. ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედება კანისთვის საკმაოდ საშიშია. მაგალითად, მზეზე 10 წუთს გაჩერება კანს გაალიზიანებს და მხოლოდ გააწითლებს. დიდხანს ყოფნა კი კანის შეშუპებას იწვევს, რასაც შესაძლოა დამწვრობა მოყვეს. დამწვრობის შედეგად ბუშტები ჩნდება და დროთა განმავლობაში მისი დაწყლულება იწყება. კანის დამწვრობისას შემდეგი სახის სიმპტომები ვლინდება: სისუსტე, დაზიანებული უბნის შეშუპება, სითხის შემცველი ბუშტუკების წარმოქმნა, ტკივილი. ამ ბუშტუკების გახეთქვა არ შეიძლება. შესაძლოა, ადამიანს მზით დამწვრობის შემდეგ სხეულის ტემპერატურის მომატება და გულისრევის შეგრძნება ჰქონდეს.

მზეზე დიდი ხნის განმავლობაში ყოფნისას კანს აღარ შეუძლია დამცავი ფუნქციის შესრულება. დერმატოლოგების თქმით, მძიმე დამწვრობისას თერმორეგულაცია წყდება, რაც მზის დაკვრის უშუალო წინაპირობაა. ამავე დროს კანი კარგავს ელასტიკურობას, სიგლუვეს და ნაოჭებით იფარება. მზის ქვეშ დიდხანს ყოფნა კანში ცვლილებებს იწვევს. ამან კი სიმსივნეც შეიძლება გამოიწვიოს.

მზის აბაზანები მათთვისაა კარგი, ვისაც ხუთვა აწუხებს. ამისთვის ულტრაიისფერ გამოსხივებას იყენებენ. ის აქერცლილი კანის ადგილას ახალი კანის წარმოქმნასა და სხვადასხვა ფუნქციის აღდგენას უწყობს ხელს.

მზეზე დიდხანს ყოფნა განსაკუთრებით სარისკოა ხანდაზმულებისთვის, 2 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის და იმ ადამიანებისთვის, ვისაც ფილტვების, გულ-სისხლძარღვთა, ნერვული და სხვა სახის დაავადებები. მზის სხივებისადმი მგრძნობელობა შეიძლება იმ ადამიანებს განუვითარდეთ, რომელთაც ალკოჰოლის ჭარბი მიღებისგან ღვიძლის ფუნქცია აქვთ დარღვეული.

ზედმეტი მგრძნობელობის შემთხვევაში უნდა ვეცადოთ, ჩრდილში ვიაროთ, ჩავიცვათ ღია ფერის ტანსაცმელი, დაუცველ ადგილებზე მზისგან დამცავი კრემი წავისვათ. ასევე ქოლგა და სათვალეებით დავიცვათ თავი დასხივებისგან.

გარუჯვისთვის საუკეთესო დროდ დილის 11-12 საათია მიჩნეული. რუჯის მიღების პირველ დღეს მზეზე მხოლოდ 10-15 წუთი უნდა გავჩერდეთ. მომდევნო დღეებში კი თანდათან უნდა გავზარდოთ 10 წუთით. თავზე აუცილებლად ქუდი უნდა გვეხუროს. ასევე მუქი სათვალე, რათა თვალის ლორწოვანი გარსი დავიცვათ.



მზის დამწვრობის შემთხვევაში, მალევე უნდა შემოვიხვიოთ სველი ნაჭერი, რადგან მზის ულტრაიისფერი გამოსხივება კანის გამოშრობას იწვევს. ამის შემდეგ კი აუცილებლად ექიმს უნდა მივმართოთ.

თუ ადამიანი მთაში გადაწყვეტს დასვენებას, აქაც უნდა გაითვალისწინოს რამდენიმე რჩევა. რაც უფრო ახლოს ვიმყოფებით მზესთან, მით მეტია მზის დარტყმისა და დამწვრობის რისკი. მთისთვის დამახასიათებელი ცივი კლიმატი მზის აქტივობას არ ამცირებს. მთაში მზე ძლიერად ანათებს, რაც თვალის მოჭუტვას იწვევს და, შესაბამისად, ნაოჭებიც ჩნდება. ასევე შეიძლება თვალის ანთებაც გამოიწვიოს. ამის თავიდან ასაცილებლად კი სათვალის გამოყენებაა რეკომენდებული.

მთაში ყოფნისას მზისგან დამცავი კრემის წასმა არ უნდა დაგვავიწყდეს. უმჯობესია, დილიდანვე წავისვათ. თუ კანი გახურდა, მაგრამ არ გაწითლდა, მაინც არ უნდა დაგვავიწყდეს ულტრაიისფერი სხივების კანზე მავნე ზემოქმედების ფაქტორი. ამ დროს დამატენიანებელი კრემების გამოყენება ჯობს. ექიმების რეკომენდაციაა, რომ ცხელი დღეების განმავლობაში დიდი რაოდენობით სითხე მივიღოთ.

მსოფლიოში მუქი კანის ტენდენციას კოკო შანელს უკავშირებენ. 1920 წლამდე ქალის სილამაზე და კლასი კანის ფერზე აისახებოდა. არისტოკრატიისთვის თეთრი ფენის კანი იყო მიღებული, ხოლო დაბალი ფენებისთვის მუქი კაკაოსფერი. საფრანგეთში გარუჯული კოკო შანელის გამოჩენამ ბევრი მოწონება დაიმსახურა და უკვე ამ დროიდან რუჯი დაბალი ფენების სიმბოლოდ აღარ აღიქმება.

2011 წლის 03 ნოემბერს გარდაიცვალა ვასილ ანზორის ძე ნიკოლაიშვილი.
ნოტარიუს კონსტანტინე ჯაფარიძის სანოტარო ბიუროში მიმდინარეობს 03.11.2011 წ. გარდაცვლილი ვასილ ნიკოლაიშვილის სამკვიდრო საქმის წარმოება.
სამკვიდროს მისაღებად კანონისმიერმა და ანდერძისმიერმა მემკვიდრეებმა და დაინტერესებულმა პირებმა მიმართეთ ნოტარიუს კონსტანტინე ჯაფარიძეს სანოტარო ბიუროში მდებარე: ქ.თბილისი, ცოტნე დადიანის ქ.№137.
ტელ: 599-90-33-20; 0790-94-55-10

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თელავში მუსიკალური ტურნე დაიწყო

ეკა ირემაშვილი

**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ეგიდით თელავში მუსიკალური ტურნე დაიწყო.**

თელავში ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროექტის ფარგლებში გაიხსნა ქართველი პიანისტის, ჯულიარდის სკოლის წარმატებული მოსწავლის დავით ალადაშვილის ტურნე. პროექტის ფარგლებში პიანისტმა დაგეგმა ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელის მოსწავლეებისა და მათი პედაგოგებისთვის მასტერკლასის ჩატარება.

მუსიკალური ტურნეს ფარგლებში დავით ალადაშვილი მასტერკლასებს ჩაატარებს რუსთავში, გორში, ბათუმსა და თბილისში. ტურნეს ფარგლებში მეორე მასტერკლასი ჩატარდება 22 ივნისს რუსთავის მესამე მუსიკალურ სკოლაში. გორში მასტერკლასი გაიმართება 29 ივნისს სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივ კოლეჯში. ტურნეს ფარგლებში 2 ივლისს ბათუმის სამუსიკო ცენტრში გაიმართება დავით ალადაშვილის კონცერტი. მუსიკოსის ტურნე კი დასრულდება პიანისტის კონცერტით 5 ივლისს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დარბაზში.

– დავით ალადაშვილი 22 წლისაა. მან ფორტეპიანოზე დაკვრა 11 წლის ასაკში დაიწყო, 15 წლის ასაკში კი ჩააბარა სამუსიკო სასწავლებელში. მოგვიანებით ქართველი პიანისტი გაემგზავრა ნიუ-იორკში და სწავლა განაგრძო ჯულიარდის სკოლის წინამოსამზადებელ კოლეჯში. მან გაიარა მასტერკლასები ისეთ პროფესორებთან, როგორებიც არიან კარლ ჰეინზ კემერლინგი, დიმიტრი ბაშკიროვი, ალექსანდრე ბანდურიანსკი, ალექსანდრე კორსანტია. პიანისტს მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ ფესტივალში, ვლადიმერ ნილსენის საფორტეპიანო ფესტივალით დაწყებული, ავსტრიის საერთაშორისო საზაფხულო აკადემიით დამთავრებული. დავით ალადაშვილმა შემოქმედებითი კარიერის განმავლობაში არაერთი კონკურსი მოიგო და ჯილდო დაიმსახურა. ქართველი პიანისტი თბილისის ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის პირველი პრემიის, მოსკოვის ვლადიმერ სპიკანოვის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი, პარიზის ნიკოლაი რუბენშტეინის საფორტეპიანო კონკურსის გრანპრის მფლობელია. მან ადრეულ ასაკში მიიღო საპრეზიდენტო სტიპენდია და დღეს უკვე ჯულიარდის სტიპენდიანტია. ორი წლის წინ დავით ალადაშვილმა სოლო პარტია შეასრულა კარნეგი ჰოლში, ნიკა რაჭველის და საქართველოს ნაციონალური ორკესტრის თანხლებით, მონაწილეობა მიიღო ლინკოლნ ცენტრში „თეთრი შუქის ფესტივალზე“, გამართა საკონცერტო ტურნე ჰიუსტონსა და თბილისში. ამ პროექტის მიზანია რეგიონების მუსიკალურ სასწავლებლებში პროფესიული დონის ამაღლება და კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია, რომელიც ითვალისწინებს საზღვარგარეთ წარმატებული ცნობილი ქართველი მუსიკოსების ტურნეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. პროექტის ფარგლებში მუსიკოსები კონცერტების გარდა, სამუსიკო სასწავლებლების მოსწავლეებს მასტერკლასებსაც ჩაუტარებენ, – განაცხადა პროექტის კურატორმა ელინა გედენიძემ.


დავით ალადაშვილი

პროექტის ფარგლებში პირველი ტურნე უკვე გამართა ცნობილმა ქართველმა პიანისტმა, „იამაჰას“ პირველმა ქართველმა არტისტმა ედიშერ სავიცკიმ. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით პროექტი სექტემბრიდან განახლდება. დავით ალადაშვილის ტურნეს გრაფიკი კი ასეთია – მასტერკლასი თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში, 22 ივნისი მასტერკლასი რუსთავის მესამე მუსიკალურ სკოლაში, 29 ივნისი მასტერკლასი გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივ კოლეჯში, 2 ივლისი კონცერტი ბათუმის სამუსიკო ცენტრში, 5 ივლისი კონცერტი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დარბაზში.

ქუთაისში კი კლასიკური მუსიკის ფესტივალი დაფუძნდა. მუსიკოსმა, კლარნეტისტმა, თბილისის ჩასაბერ საკრავთა საერთაშორისო ფესტივალისა და ჭიათურის „ზამთრის აკადემის“ დამფუძნებელმა ლევან ცხადაძემ კლასიკური მუსიკის კიდევ ერთი ფესტივალი სწორედ ქუთაისში დააფუძნა.

ქუთაისის ბალანჩივაძეების სახელობის ოპერის სახელმწიფო თეატრში და მუსიკალურ დარბაზში ქუთაისის კლასიკური მუსიკის ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნა.

– კონცერტების გარდა, ფესტივალს საგანმანათლებლო მიზანი აქვს და ცოცხალ პროცესში ახალგაზრდა მუსიკოსების, მათი პედაგოგების, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას გულისხმობს. ასევე მასტერკლასების გამართვას, რომელზე დასწრებაც სამი დღის განმავლობაში ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო, – განაცხადა ფესტივალის დამფუძნებელმა ლევან ცხადაძემ.

ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ სულხან ცინცაძის სახელობის ეროვნული სიმებიანი კვარტეტი, ლევან ცხადაძე (კლარნეტი), ნინო გვეტაძე (ფორტეპიანო), გიორგი გვანცელაძე (ჰობოი), მარიკა მაჩიტიძე (ვიოლინო), მიხეილ ქართველიშვილი (კონტრაბასი) და სტუმრები ჰოლანდიიდან და ავსტრიიდან ლიზა იაკობსი (ვიოლინო) და შტეფანი პაგიჩი (ფლეიტა).

ქუთაისის კლასიკური ფესტივალის დაფუძნების იდეა, ერთი წლის წინ, ლევან ცხადაძის, ნოდარ ჟვანიასა და თამაზ ბათიაშვილის მიერ ქუთაისში ჩატარებული მასტერკლასების, ასევე ჭიათურის ფესტივალისადმი გამოწვეული დიდი ინტერესის შედეგად გაჩნდა და კიდევ ერთი კლასიკური მუსიკის ფორუმი ამჯერად ქუთაისის მერიის მხარდაჭერით დაფუძნდა. სამდღიან ფესტივალს ქუთაისის ბალანჩივაძეების სახელობის ოპერის სახელმწიფო თეატრმა და მუსიკალურმა დარბაზმა უმასპინძლა.

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში კი ჩატარდა პროექტი „ჯაზი და ლექციები ჯაზზე“, რომელიც მოიცავს ტურნეს საქართველოს მასშტაბით და იგი ამჯერად სწორედ ქუთაისში გაგრძელდა. ჯაზ-ანსამბლმა თამაზ ყურაშვილის, ზურა რამიშვილის, რეზო კიკნაძის, ლევან კემულარიასა და ზაზა ცერცვაძის შემადგენლობით, კონცერტი ქუთაისის განახლებულ თეატრში ჩაატარა. საღამოს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა და მინისტრის მოადგილე დავით ქირია ესწრებოდნენ.

– პროექტის „ჯაზის სალექციო ტურნე საქართველოში“ ფარგლებში, რომელსაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო წარმოადგენს, ჯაზმენებმა მერვე კონცერტი ჩაატარეს. პირველი საღამო მუსიკოსებმა 25 აპრილს ჭიათურაში გამართეს, შემდეგ კი სალექციო ჯაზ-ტურნეთი ბათუმი, ანაკლია, ზუგდიდი, ლოპოტა, თელავი და გურჯაანი მოიარეს. ჯაზ-ანსამბლი ახლაც განაგრძობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ქალაქებსა და სოფლებში კონცერტებით მოგზაურობას. ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება აქვს მოისმინოს ჯაზის შესახებ ერთგვარი ლექციების კურსი: ჯაზმენები მათ მუსიკოსებზე, ინსტრუმენტარიუმზე, სტილისტიკაზე ესაუბრებიან და იმპროვიზაციის სპეციფიკას აცნობენ, – აღნიშნა ნიკოლოზ რურუამ.

პროექტის ძირითადი მიზანია ჯაზის პოპულარიზაცია საქართველოს რეგიონებში, იქ, სადაც მსმენელი არათუ განებივრებულია XX საუკუნის ამ უნიკალური მუსიკალური ხელოვნებით, არამედ ხშირ შემთხვევაში საერთოდ არ იცნობს ამ ჟანრს. პროექტს წარმოადგენს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, რომელიც ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად, უზრუნველყოფს მუსიკოსების ტექნიკურ აღჭურვილობას, პროექტის მედია პარტნიორი კი საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიაა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში კავკასიაში პირველი ბაროკოს ორკესტრის პირველი კონცერტი გაიმართა, რომელსაც თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სინფონიეტა“ წარმოადგენდა. მე-17 საუკუნის მუსიკა საქართველოს სინფონიეტამ ბაროკოს ეპოქის ინსტრუმენტებზე დაუკრა, რომლებიც ორკესტრს სულ ცოტა ხნის წინ საქართველოს კულტურის სამინისტრომ გადასცა.

– თბილისში გაჩნდა ვიოლა და გამბა, თეორბო, ორკესტრი შეივსო ბაროკოს სხვა ინსტრუმენტებით, რაც ნიშნავს, რომ ამ ეპოქის მუსიკის პოპულარიზაციის პრეცედენტი ამიერკავკასიის მასშტაბით პირველად საქართველოში შეიქმნა. კონცერტზე აუდიტორიამ ეს მუსიკა ავთენტური ჟღერადობით მოისმინა. საკრავების უჩვეულო ჟღერადობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიციული სიმებიანი საკრავების ხმოვანებისაგან, რადგან ბაროკოს მუსიკა წარმოიშვა XVI-XVII საუკუნეებში იტალიაში, აღორძინების ეპოქის ბოლოს, იგი წინ უსწრებდა კლასიციზმის ეპოქას. დამკვიდრდა ჯერ სახვით ხელოვნებასა და არქიტექტურაში, მოგვიანებით მუსიკაში. ბაროკოს ეპოქა ითვლება „დასავლური ცივილიზაციის“ ტრიუმფალური სვლის დასაწყისად. ამ პერიოდში გაფართოვდა და გამრავალფეროვნდა მუსიკალური ჟანრები, განვითარდა და გართულდა მუსიკალურ საკრავებზე ნაწარმოებების შესრულების ტექნიკა, წარმოიშვა ისეთი ჟანრი, როგორიც ოპერაა. ბაროკოს ეპოქაში შეიქმნა ბახის, ჰენდელის, სკარლატის, ვივალდის, მონტევერდის ნაწარმოებები, რომელთა მიმართ დღემდე არ განელებულა ინტერესი და ჟღერს საკონცერტო ესტრადებზე საქართველოსა თუ უცხოეთში. აღსანიშნავია ისიც, რომ ბაროკოს ეპოქის მუსიკალური ტერმინების დიდი ნაწილი დღემდე გამოიყენება, – განაცხადა პროექტის კურატორმა პაატა ბერიძემ.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ახალი ინსტრუმენტები – 9 ვიოლინო, 3 ალტი, 1 ვიოლა და გამბა (ჩელოს ნაირსახეობა), 1 ჩელო, 1 თეორბო „საქართველოს სინფონიეტას“ 27 თებერვალს გადასცა. რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე ორგანიზებულ კონცერტზე „საქართველოს სიმფონიეტამ“ ბაროკოს მუსიკის მოყვარულებისთვის ვივალდის, ბიბერის, ლულის და ბოკერინის ნაწარმოებები შეასრულა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ეგიდით მუსიკალური ტურნე საქართველოში ცნობილი ქართველი პიანისტის ედიშერ სავიცკის კონცერტით თბილისში დასრულდა. ღონისძიება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ახალი პროექტის ფარგლებში შედგა.


**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და აზტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
ილუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

- ქ.რუსთავში იყიდება ოროთახიანი (45კვ.მ.) ბინა, რემონტით, კარ-ფანჯრები გამოცვლილია. მის: VI მიკრორაიონი, III კორპუსი, ბინა 710. ფასი შეთანხმებით. ტელ: 595-716-515 ხათუნა.
- ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ინდივიდუალური ნემსით, ადგილობრივი გაუტკივარებით, კანის გაღიზიანების გარეშე, სრულად განკურნების გარანტიით. ფასი: ერთი საათი 12 ლარი. ტელ: 2-52-05-52; 294-67-05:
- ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.
- ქალბატონებო! აგლაძის №67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გარჩევა, საბან-ლეიბების განახლება-აღდგენის მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი, შემოგთავაზებთ ქსოვილების არჩევანს. ტელ: 235-15-96.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის განმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.
- იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხორვატია გმირულად ჩარჩა

**ხორვატია – ესპანეთი 0:1**

**0:1 ნავასი (88)**

**ხორვატია:** პლეტიკოშა, სრნა, სტრინიჩი, ჩორლუკა, შილდენფელდი, ვიდა (იელავიჩი 66), პრანიჩი (პერიშიჩი 66), რაკიტიჩი, ვუკოიევიჩი (ედუარდო 81), მოდრიჩი, მანჯუკიჩი

**ესპანეთი:** კასილიასი, არბელოა, პიკე, რამოსი, ალბა, ბუსკეტსი, ალონსო, ჩავი (ნეგრედო 89), ინიესტა, სილვა (ფაბრეგასი 73), ტორესი (ნავასი 61)

იმ გუნდებიდან, რომლებიც აქამდე ევროპის ჩემპიონატს დაემშვიდობნენ, ყველაზე მეტად გულშემატკივართ გულს ხორვატიის ნაკრები დასწყვეტდა. ეს გუნდი არაფრით ჩამოუვარდებოდა თავის კონკურენტებს. თანაც ვის? ესპანეთსა და იტალიას. მეტიც, იყო მომენტები, როდესაც ხორვატები ამ გუნდებზე საინტერესოდ, მრავალფეროვნად და ცოცხლად გამოიყურებოდნენ. არ გამოუვიდათ თუ არ გაუმართლათ, ეს სხვა საკითხია.

ალსანიშნავია ისიც, რომ სლავენ ბილიჩმა ესპანეთთან ახალი სქემით ათამაშა გუნდი. შემადგენლობაში როტაცია მოახდინა და დაამტკიცა, რომ მის ხელში ყველა ფეხბურთელი გუნდურად თამაშობს. ესპანელებმა კი მთელი თავიანთი კოზირები გამოიყენეს.

პირველ ტაიმში გუნდები არ რისკავდნენ, კარგად იცოდნენ, რომ ჯერ გახსნა ადრე იქნებოდა. მხოლოდ შესვენების შემდეგ, როდესაც ხორვატებმა გაიგეს, რომ იტალია დაწინაურდა, გუნდი გაიხსნა, მომენტებიც შექმნა და თითქოს ორჯერ პენალტსაც იმსახურებდნენ, მაგრამ... ხორვატთა ნაგება იმითიც არის გულდასაწყვეტი, რომ ბოლოში დამარცხდნენ, როდესაც მთლიანად ვა-ბანკზე წავიდნენ.

როგორც უკვე გითხარით, შესვენების შემდეგ ოდნავ იმატა ტემპმა და საკვანძო მომენტი მე-60 წუთზე შეიქმნა, როცა მოდრიჩმა ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა და რაკიტიჩის თავურის შემდეგ კასილიასმა მშვენიერი რეაქცია გამოავლინა.

ბილიჩმა 66-ე წუთზე შემტევები შეიყვანა და თითქოს უნდა გააქტიურებულიყვნენ ხორვატები, მაგრამ პირიქით მოხდა. „ფურია როხა“ ბურთს აკონტროლებდა და სადავეები ხელში ეჭირა. კასილიასს მხოლოდ ერთხელლა დასჭირდა გადახტომა, როცა პერიშიჩს აუღო.

88-ე წუთი იყო, როცა ფაბრეგასმა მოხდენილი პასით ინიესტა ხორვატთა მეკარე პლეტიკოშას შეატოვა. ინიესტამ ცარიელ კართან მდგომი ხესუს ნავასი მოძებნა და „სევილიის“ მარჯვენაფლანგელმა იოლად გაიტანა – 1:0.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ანდრეს ინიესტა**

ჯერჯერობით ამ ევროპის ჩემპიონატზე ინიესტა გუნდის ნამდვილი ლიდერია, რომელიც ძალიან ეფექტიანად და მწვავედ თამაშობს. ის არის გუნდის შეტევების სულისჩამდგმელი და დირიჟორი. მისი არა მარტო პასები მწვავე, არამედ კარგად იხსნება და ჩინებული დრიბლიორიც არის. სწორედ მის აქტიურობას მოჰყვა ერთადერთი გოლიც.

***მატჩის შემდეგ***

**სლავენ ბილიჩი:**

– ყველამ ნახა, რომ ესპანეთთან მატჩი გარიგებული არ იყო. იტალიურ პრესას მატჩის წინა დღეებში მეტი სალაპარაკო თემა არ ჰქონია, ყველაფერი დაგვწამეს, რაც კი შეიძლებოდა, მაგრამ რცხვენოდეთ. ამგვარი საუბრები შეიძლება გულშემატკივრებისგან, ჟურნალისტებს კი მსგავსი რამ არ ეკადრებათ. მათი საქციელი სამარცხვინო იყო. ესპანელებს ვულოცავ. ჩემს ფეხბურთელებზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ისინი გმირები არიან. ვიცოდით, რომ დელ ბოსკეს გუნდის შეჩერება ძნელი იქნებოდა, მაგრამ, ისიც ვიცოდით, რომ 2-3 მომენტი შეგვექმნებოდა. ასეც მოხდა, მაგრამ გოლი ვერ გავიტანეთ. მიუხედავად მარცხისა, ჩემი გუნდით ვამაყობ.

**იტალია – ირლანდია 2:0**

**1:0 კასანო (35), 2:0 ბალოტელი (90)**

**იტალია:** ბუფონი, აბატე, ბარცალი, კიელინი (ბონუჩი 57), ბალცარეტი, პირლო, მარკიზიო, მოტა, დე როსი, დი ნატალე (ბალოტელი 74), კასანო (დიამანტი 62)

**ირლანდია:** გივენი, ო'ში, დანი, სენტ ლეჯერი, უორდი, მაკგიდი (ლონგი 65), უილანი, ენდრიუსი, დაფი, კინი (კოქსი 86), დოილი (უოლტერსი 76)

**გაძევება:** ენდრიუსი 89

არაორდინარული გამოდგა მატჩი. თითქოს ყველაფერი ლოგიკურია – იტალიის ნაკრებმა მშვიდად დაამარცხა ჯგუფის აუტსაიდერი. ცხადია, შედეგის მიხედვით მატჩი იტალიელთათვის საუკეთესო გამოდგა, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით თამაშის ხარისხზე. ეს, ალბათ, იმის ბრალია, რომ შემადგენლობაში ბევრი ცვლილება მოხდა, თუმცა ყველაფერს ახალ ფეხბურთელებს ნუ დავაბრალებთ – აპენინელებს მარილი აკლდათ.

მატჩი დაბალ ტემპში დაიწყო და პირველი სახიფათო მომენტი მხოლოდ 31-ე წუთზე შეიქმნა, როდესაც ბალძარეტის ჩაწოდებას და დი ნატალეს დარტყმა მოჰყვა, მაგრამ ბურთი კარამდე არ მივიდა და სენტ ლეჯერს მხრზე მოხვდა. მალევე კასანოს კარგი პასით მეკარესთან პირისპირ გასულმა დი ნატალემ გივენი მოატყუა და მახვილი კუთხიდან ცარიელ კარში დაარტყა, მაგრამ ბურთს იმავე სენტ ლეჯერმა მიუსწრო.

35-ე წუთზე გივენმა კასანოს შორეული გასროლა კუთხურზე მოიგერია, რომელიც პირლომ ჩააწოდა და კასანომ თავური დარტყმით ანგარიში გახსნა.

იტალიელთა შეტევებით დაიწყო მე-2 ტაიმიც. 49-ე წუთზე კასანოს სახიფათო დარტყმას ამჯერად დანი გადაელობა. ხუთ წუთში იტალიელებმა ძალიან კარგი კომბინაცია გაითამაშეს, რის შემდეგ დი ნატალე ხელსაყრელ პოზიციაზე დარჩა, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი ამჯერად გივენმა მოიგერია.

ძირითადი დროის ამოწურვამდე ერთი წუთით ადრე არბიტრმა პირლოსთან ორთაბრძოლაში მყოფი ენდრიუსი დააჯარიმა, რასაც ირლანდიელის მხრიდან პროტესტი მოჰყვა, მსაჯმა გააფრთხილა და, რადგან უკვე ერთხელ ჰქონდა ყვითელი ბარათი, მოედნის დატოვება მოუწია.

კაცნაკლულ მეტოქეს იტალიამ მე-2 გოლი მალევე გაუტანა. 90-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა დიამანტიმ ბურთი კუთხურიდან მოაწოდა, ხოლო მეკარის საჯარიმო მოედნის წინა ხაზიდან ასევე შეცვლაზე შესულმა ბალოტელიმ ეფექტიანი გოლი გაიტანა – 2:0.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ანტონიო კასანო**

მიმდინარე ტურნირზე ძალიან კარგად გამოიყურება იტალიელთა შემტევი. გულთან დაკავშირებული პრობლემები, რომელიც კასანოს ჰქონდა, წარსულს ჩაბარდა. ფეხბურთელმა მალევე აღიდგინა გაცდენილი დროის ფორმა და გოლების გატანაც დაიწყო. ირლანდიელებთან კი მოედანზე მართლაც საუკეთესო იყო მისი გუნდიდან.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| 2.იტალია | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| 3.ხორვატია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| 4.ირლანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:9 | 0 |

# ლევან მიქელაძე: „შენგელიას „მაიამის“, „ჰიუსტონის“, „სან ანტონიოსა“ და „ოკლაჰომას“ წარმომადგენლები შეხვდნენ




ტრევიზოს კემპზე წარმატებული გამოსვლის შემდეგ თორნიკე შენგელიას მიმართ ინტერესი ერთიორად გაიზარდა. პრესაშიც სულ უფრო მეტი სტატიები ჩნდება ქართველი ფორვარდის სადრაფტო შანსების შესახებ და მისით დაინტერესებას ნბა-ს კლუბებიც გამოთქვამენ. თორნიკეს მენეჯერი ლევან მიქელაძე ფიბა-ს ერთადერთი ქართველი ლიცენზირებული აგენტია და ამერიკის წამყვან სააგენტოებთან თანამშრომლობს.

მიქელაძესთან ინტერვიუ კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა:

*– რა გამოხმაურება მოჰყვა შენგელიას ტრევიზოს კემპზე გამოსვლას?*

– ყველამ კარგად დაინახა, თორნიკე შენგელია რა შესაძლებლობების მოთამაშეა. მიუხედავად იმისა, რომ ძალზედ დაძაბული ფინალური სერიების შემდეგ იგი ტრევიზოში ძალიან დაღლილი ჩამოვიდა, იმდენად კარგად იასპარეზა, რომ ნბა-ს გუნდების წარმომადგენლებმა მას აუდიენცია დაუნიშნეს.

*– რომელი გუნდები აქტიურობდნენ და თორნიკეს რაზე ესაუბრნენ?*

– „მაიამი“, „ჰიუსტონი“, „სან ანტონიო“, „ოკლაჰომა სიტი“... ეს იმ გუნდების არასრული ჩამონათვალია, რომელთა წარმომადგენლებმა შენგელიასთან შეხვედრა და გასაუბრება ისურვეს. თორნიკემ ნბა-ს კლუბების გენერალურ მენეჯერებთან აუდიენციას თავი შესანიშნავად გაართვა. ამერიკელები მას კალათბურთთან ერთად ბევრ ცხოვრებისეულ საკითხზე ესაუბრნენ.

*– კლუბების წარმომადგენლებმა შენგელია წინასადრაფტო ვარჯიშებზე ხომ არ დაპატიჟეს?*

– არა, შენგელია წინასადრაფტო ვარჯიშებში მონაწილეობას არ მიიღებს. ის ამერიკაში რამდენიმე დღეში გაემგზავრება და იქ მსუბუქად, ინდივიდუალურად ივარჯიშებს. შენგელიამ უკვე დაამტკიცა თავისი ძალა გასული სეზონის მატჩებსა და ევროკემპზე. წინასადრაფტო ვარჯიშებში ის კალათბურთელები მონაწილეობენ, რომლებსაც საკუთარი შესაძლებლობები დასამტკიცებელი აქვთ ან სადრაფტო სტატუსის კიდევ უფრო ამაღლება სურთ.

*– ტრევიზოს კემპი საკმარისია საიმისოდ, რომ ნბა-ს ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება მიიღოს?*

– საკმარისია. შენგელიამ ტრევიზოში მე-3 დღეს ძალიან შთამბეჭდავად იასპარეზა. მისი მთავარი კოზირი ისაა, რომ მრავალმხრივი მოთამაშეა. მას თითქმის ყველა სათამაშო კომპონენტში შეუძლია მაღალ დონეზე თამაში. როცა კალათბურთელი მხოლოდ კარგად ესვრის, შესაძლოა, კონკრეტულ შეხვედრაში ამ კომპონენტში ვერ ივარგოს და მისი საქმე მოთავებულია. შენგელია კი მრავალ კომპონენტშია ძლიერი და დიდი პოტენციალი აქვს, რაც ტრევიზოში ყველამ კარგად დაინახა.

*– შეიძლება მიახლოებით იმის თქმა, თუ რომელ ნომრად ან ვინ აირჩევს შენგელიას?*

– დრაფტის სპეციფიკა ისეთია, რომ ერთმა განსხვავებულმა არჩევანმა, შესაძლოა, ყველაფერი შეცვალოს. ფაქტი ისაა, რომ შენგელიასადმი ინტერესი ძალიან არის გაზრდილი და, იმედი გვაქვს, 28 ივნისის საღამოს დრაფტის შედეგებით კმაყოფილი ვიქნებით.

რაც შეეხება თავად შენგელიას, მასზე არ წყდება საუბრები უცხოურ მედიაში.

– შენგელია ერთ-ერთი გახლდათ, რომელმაც კემპზე თავი შესანიშნავად წარმოაჩინა, კარგად ითამაშა და აგენტებზეც დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა. მეტიც, ამბობენ, რომ ამ ნიჭიერ ახალგაზრდას ნბა-ს ერთ-ერთი კლუბისგან უკვე შეპირებაც გააჩნია და დრაფტზე აუცილებლად აიყვანენ. ქართველი ფორვარდი ახალგაზრდულ დონეზე უხქქულიანი მატჩების სპეციალისტი გახლდათ და ამ დროისთვისაც ამ მხრივ უკუსვლა ნამდვილად არ განუცდია. შენგელიას ჩინებული სწრაფი პირველი ნაბიჯი გააჩნია, რასაც თან შთამბეჭდავი ათლეტურობა, ფიზიკური ძალა და სიმაღლეც ერთვის. ფართან ახლოს თორნიკე ძალიან საშიშია და შეტევის დაგვირგვინება ნებისმიერი ხერხით შეუძლია. უფრო მეტიც, მომდევნო დრაფტზე საერთოდაც ძალიან ცოტა იქნება ისეთი კალათბურთელი, რომელიც ფარის დალაშქვრაში შენგელიას კონკურენციას გაუწევს. რაც შეეხება ნაკლს, ქართველ კალათბურთელს მოსამატებელი დაცვით უნარებსა და ნახტომში სროლაში აქვს. რადგანაც შენგელია მხოლოდ 20 წლისაა, მოსალოდნელია, რომ მას დრაფტზე უყურადღებოდ არ დატოვებენ, თუმცა, 1-2 წლით, ალბათ, ევროპაში გაანათხოვრებენ, დროთა განმავლობაში კი მას ნბა-ს სოლიდურ მოთამაშედ ქცევა შეუძლია, – აღნიშნულია ერთ-ერთ უცხოურ ანალიტიკურ სტატიაში.

# პატარა ბორჯღალოსნებმა ალაფა მოგებით დაიწყეს

**საქართველო – კანადა 31:17**

**საქართველო:** საბა ნიკოლავა, გიორგი ბიწაძე, ზურაბ ძნელაძე, თამაზ მჭედლიძე, ლევან გოგოლაშვილი, გოდერძი ჭინჭარაული, ვაჟა ხუციშვილი; გიორგი თეთრაშვილი, გიორგი ლომთაძე, ვახტანგ ახობაძე, მინდია ელგუჯაური, სანდრო ქოიავა, ელგუჯა სურგულაძე, ბექა მამრიკიშვილი, ლაშა ლომიძე

**მარქაფა:** არჩილ ბეჟაშვილი, ვაჟა თაგაური, ზაზა ნავროზაშვილი, გურამ შენგელია; გიორგი მისრიაშვილი, გიორგი ბასილაია, გიგა გაგოშვილი

საქართველოს 20-წლამდე მორაგბეთა ნაკრებმა გამარჯვებით დაიწყო მსოფლიო ალაფა. პატარა ბორჯღალოსნების პირველი მეტოქე კანადის ნაკრები იყო, რომლებსაც ჩვენებმა 31:17 სძლიეს.

ანგარიში საჯარიმო დარტყმით საბა ნიკოლავამ გახსნა – 3:0. თუმცა, კანადელებს ბევრი დრო არ დასჭირვებიათ წინ გასასვლელად – ტეილორ პარიუმა ლელო დაგვიდო, ხოლო კონორ მაკკანმა გარდასახა – 3:7.

ცოტა ხანში ნიკოლავამ და მაკკანმა ჯარიმები გაცვალეს და 4-ქულიანი სხვაობა უცვლელი დარჩა. მხოლოდ ამის შემდეგ გამოცოცხლდნენ ქართველები და, როგორც იქნა, გიორგი ბიწაძე მეტოქის ჩათვლის მოედანში შევიდა. ნიკოლავას ზუსტი რეალიზაციის შემდეგ ანგარიში 13:10 გახდა ჩვენების სასარგებლოდ.

თუმცა, არც კანადელთა პასუხს დაუგვიანია და პარიუმა მეორედ შეაღწია ჩვენი ჩათვლის მოედანში, მაკკანმაც ზუსტი რეალიზაცია დაურთო – 13:17.

როგორც შემდეგ გაირკვა, ეს იყო კანადელთა ბოლო ქულა ამ მატჩში. პირველი ტაიმის დასრულებამდე ნიკოლავამ ორი ჯარიმა ზუსტად დაარტყა და შესვენებაზე ორქულიანი უპირატესობით გავედით – 19:17.

მეორე ტაიმში ქართველებმა უფრო აგრესიული დაცვა ითამაშეს და მეტოქეს შანსი არ მისცეს, ქულა მოეპოვებინათ. თავად კი მეთოდურად ზრდიდნენ უპირატესობას და ჯერ ლაშა ლომიძემ დადო ლელო, შემდეგ კი გიორგი თეთრაშვილმა. ორიდან ერთი რეალიზაცია გამოიყენა ნიკოლავამ და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 31:17.

აღსანიშნავია, რომ მატჩის ბოლო წუთზე ჩხუბი ატყდა, რის შემდეგ მოედნიდან გაძევებულ იქნა პირველი ლელოს ავტორი, ბიწაძე, რომელიც, სავარაუდოდ, შემდეგ მატჩებს გამოტოვებს.

ჩვენივე ჯგუფში ძალიან დრამატულად წარიმართა მეორე მატჩიც, სადაც იაპონიამ ბოლოს მოუგო ზიმბაბვეს – 39:36.

მომდევნო მატჩს პატარა ბორჯღალოსნები 22 ივნისს ზიმბაბვესთან გამართავენ.

# ტორპედო მზადებას მარცხით იწყებს

ახალი სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყეს იმ გუნდებმა, რომლებიც ევროტურნირებში ჩაებმებიან. თბილისის „დინამო“ კი მზადებას 24 ივნისიდან დაიწყებს. თბილისელები 5 ივლისამდე დიღმის საწვრთნელ ბაზაზე მოემზადებიან, 5-11 ივლისს კი ერთკვირიან შეკრებას ბაკურიანში გაივლიან. მზადების მომდევნო ორკვირიანი ეტაპი 15 ივლისიდან სლოვენიაში გახლავთ დაგეგმილი.

ამასობაში კი პირველი საკონტროლო მატჩი წააგო ავსტრიაში შეკრებაზე მყოფმა ქუთაისის „ტორპედომ“. რიონისპირელები 0:2 დამარცხდნენ ალბანეთის ჩემპიონ კორჩას „შკენდერბეუსთან“.

„ტორპედომ“ ალბანელებთან სპარინგი ასეთი შემადგენლობით დაიწყო: მიგინეიშვილი, რიგვავა, კვახაძე, ჭელიძე, გურული, ფირცხალავა, დათუნაიშვილი, დილმელაშვილი, დოლიძე, ტუღუში, გოცირიძე.

შესვენებაზე გია გეგუჩაძემ გუნდის 11-ვე ფეხბურთელი შეცვალა და მეორე ტაიმი ამ შემადგენლობას დააწყებინა: ქვილითაია, ტაბატაძე, ფარულავა, გამეზარდაშვილი, შერგელაშვილი, გიგაური, სიჭინავა, კუხიანიძე, ბოლქვაძე, გრიგალაშვილი, ფანცულაია.

მორიგ საკონტროლო მატჩს „ტორპედო“ 21 ივნისის ნაცვლად ერთი დღით ადრე ითამაშებს რუმინეთის „სტიაუასთან“.

საკუთარ ხელოვნურსაფარიან მოედანზე პირველად შეიკრიბა და ახალი სეზონისათვის მზადებას შეუდგა საჩხერის „ჩიხურა“. 26 ივნისამდე გუნდი ორჯერადად ივარჯიშებს, ხოლო შემდეგ ზღვისპირეთს მიაშურებს და ორკვირიან შეკრებას ურეკში გაივლის.

ზემოიმერულ კლუბში ორი ცვლილებაა. როგორც ცნობილია, ამას წინათ „ჩიხურა“ მეკარე რევაზ თევდორაძემ დატოვა, რომელიც აზერბაიჯანში, კერძოდ, ბაქოს „ინტერში“ გააგრძელებს კარიერას. რაც შეეხება მომსვლელებს, გუნდთან ერთად 28 წლის ფორვარდი გაგა ჩხეტიანი ვარჯიშობს და, დიდი ვარაუდია, ის საბოლოოდ შეუერთდება „ჩიხურას“.

ჩხეტიანი 2009 წლიდან ისრაელში თამაშობდა, სადაც რამდენიმე კლუბი გამოიცვალა. მისი ბოლო იქაური გუნდი კი ისრაელის რანგით მეორე – ლეუმიტ ლიგის ბინადარი ბეერ-შავას „მაკაბი“ იყო. საჩხერელთა შესაძლო ახალწვეულის ქართულ კარიერას რაც შეეხება, ის თავის დროზე „ტორპედოში“, „ზესტაფონში“, ბათუმის „დინამოსა“ და რუსთავის „ოლიმპში“ ირჯებოდა.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

ესპანეთი-ხორვატია ........ 1:0
იტალია-ირლანდია ........ 2:0

**ბრაზილია. სერია ა**

კურიტიბა-ატლეტიკო(გ) ........ 3:0
ნაუტიკუ-გრემიო ........ 1:0
პონტე პრეტა-კორინთიანსი ........ 1:0

**ჩოგბურთი**

**ატპ. ისტბორნი. ბალახი**

მატიე-ჩარდი 5:7, ........ 7:6;6:7
ფონინი-რამოსი ........ 7:6;6:7;6:2
იანგი-ბეიკერი ........ 1:6;4:6
მატოსევიჩი-უორდი ........ 4:6;6:1;4:6

**ატპ. ჰერტოგენბოში. ბალახი**

დოდიგი-ლორენცი ........ 4:6;4:6
მელცერი-კუნიცინი ........ 6:1;6:1
იტო-ფუჩოვიჩი ........ 3:6;6:3;7:6
კუბოტი-სელა ........ 6:1;6:2
ჩიპოლა-სტარაჩე ........ 6:2;6:0

**ვტა. ისტბორნი. ბალახი**

ჰლავაჩკოვა-დიუბუა ........ 6:7;5:7
იობანოვსკი-რობსონი ........ 2:6;3:6
არნი-უინდლი ........ 6:2;6:0

**ვტა. ჰერტოგენბოში. ბალახი**

სკიავონე-კირილენკო ........ 6:4;3:6;7:5
რუსი-პარმენტიე ........ 6:3;6:4
ვიკმაიერი-ჰავრილოვა ........ 1:6;2:6

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვახო ბიჭიკაშვილი ბიჭის მამაა

ეკა ირემაშვილი



„კომედი შოუს" მსახიობი ვახო ბიჭიკაშვილი, რომელიც მაყურებელმა კასპელი ზაურას როლში განსაკუთრებულად შეიყვარა, პირველი შვილის მამა გახდა. როგორც ყველა ქართველი მამაკაცის საამაყოდ, ასევე ვახოს საამაყოდ უნდა ითქვას, რომ ვახო ბიჭის მამაა.

დუბლიონკიანმა ზაურამ და მისმა რჩეულმა სოფო რევიამ პირველ შვილს ანდრია დაარქვეს. ანდრია ბიჭიკაშვილის პირველი ფოტო გახარებულმა მამამ „ფეისბუქში" უკვე ატვირთა და ორიგინალური კომენტარიც მიუწერა – ის უკვე კონკრეტულია!

ვახო ბიჭიკაშვილი და სოფო რევია 24 წლისები არიან. მათ ერთმანეთი თეატრალურ უნივერსიტეტში გაიცნეს. წყვილის ხანგრძლივი მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა, შემდეგ სამწლიანი შეყვარებულობის პერიოდი დადგა, რომელიც გასული წლის აგვისტოში ქორწინებით დასრულდა. თაფლობის თვე წყვილმა ბათუმში, გონიოსა და ვარშავაში გაატარა. ვახო ბიჭიკაშვილი მეუღლეს მთელი ორსულობის პერიოდში განსაკუთრებული პრეტენზიებით არ გაულიზიანებია, პირიქით, სოფო ზედმეტად უპრეტენზიო ორსული აღმოჩნდა. ის კი არადა, 8 თვის ორსული ელიავას ბაზრობაზე კედლის სალებავების საყიდლადაც დადიოდა. მსახიობის მეუღლე პროფესიით ჟურნალისტია, თუმცა თავისი სპეციალობით არ მუშაობს. დეკრეტულ შვებულებამდე სოფო შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა, ახლა კი პატარა ანდრიაზე მოუწევს ზრუნვა და სამსახურს ცოტა ხნით ჩამოშორდება. ვახო ბიჭიკაშვილს კი სამსახურში ჯერჯერობით აქტიურად მოუწევს სიარული, რადგან შვებულებამდე და დასვენებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა.

# სამუსიკო სასწავლებელი დასკვნით კონცერტს ჩაატარებს

ეკა ირემაშვილი

20 ივნისს კონსერვატორიის დიდ დარბაზში თბილისის ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეთა კონცერტი გაიმართება. გასული სასწავლო წლის დასკვნით ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ სასწავლებლის ვოკალური, საფორტეპიანო და საორკესტრო განყოფილებების საუკეთესო მოსწავლეები: თეონა დალაქიშვილი, დავით დარბინიანი, გიორგი ვახტანგოვი, თამთა მახარაძე, გიორგი ოიკაშვილი, სალომე ჟორდანია, ნატა როინიშვილი, ვიქტორია სურმავა, ლევან უგულავა, თამარ ქორქაძე, მარიამ ხოშტარია და ინალ ჯიოევი. მოზარდებს პარტნიორობას გაუწევს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი გიორგი ჟორდანიას დირიჟორობით. სიმფონიური მუსიკის კონცერტის პროგრამა მრავალფეროვანი და შთამბეჭდავია, რადგანაც აჟღერდება ვივალდის, ჰაიდნის, მოცარტის, ბეთჰოვენის, პაგანინის, ვებერის, შუმანის, გუნოს, სარასატეს, რახმანინოვის ნაწარმოებები.

თბილისში მუსიკალური სასწავლებლების დაშლისა და მათი გაერთიანების შემდეგ, დარჩა მხოლოდ ერთადერთი ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სასწავლებელი, რომელიც სამი მუსიკალური სასწავლებლის დაშლის შედეგად ჩამოყალიბდა. ამ მუსიკალურ სასწავლებელში ყველა მუსიკალური მიმართულება შეისწავლება – საფორტეპიანო განყოფილება, ვოკალური განყოფილება, რომლის კონსულტანტია ნოდარ ანდღულაძე, საორკესტრო განყოფილება, რომელშიც შედის სიმებიანი და ჩასაბერი ინსტრუმენტები და საგუნდო-სადირიჟორო განყოფილება.

გიორგი ქორქაძე, ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი:

– ეს არის დასკვნითი ღონისძიება-კონცერტი. ჩვენ წლის განმავლობაში ვატარებთ საანგარიშო კონცერტებს განყოფილებების მიხედვით. აღსანიშნავია ცალკე ვოკალური განყოფილება. ეს არის ერთადერთი განყოფილება ჩვენს სასწავლებელში, რომელმაც ჩაატარა საანგარიშო კონცერტი აპრილში სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. საგუნდო განყოფილების უმცროსკლასელებმა შეასრულეს პერგოლეზის „სტაბატ მატერი", ხოლო უფროსკლასელებმა მსმენელს პრემიერა შესთავაზეს, მათ ვივალდის „გლორია" აჟღერეს, რომელიც საქართველოში პირველად შესრულდა. სოლისტები იყვნენ ვოკალური განყოფილების მოსწავლეები. ვოკალურმა და საგუნდომ ერთად ჩაატარეს ეს ღონისძიება კამერულ ორკესტრთან ერთად. ამ საღამოებს გაზაფხულზე ვუმასპინძლეთ.

# დავით გაბაშვილის ნამუშევრები ისტორიის მუზეუმშია

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი მხატვრისა და კლასიკოსის დავით გაბაშვილის ნამუშევრები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ინიციატივით, თბილისის ისტორიის მუზეუმში გამოიფინება. ექსპოზიცია 20 ივნისს გაიხსნება, რომელზეც წარმოდგენილი იქნება მეოცე საუკუნის ქართველი მხატვრის ნამუშევრები.

– დავით გაბაშვილის შემოქმედება ყოველთვის ექცევა სახვითი ხელოვნების მოყვარულთა ყურადღების ცენტრში. თბილისში დაბადებულმა მხატვარმა სამხატვრო აკადემია დაამთავრა და იგი იყო იოსებ შარლემანის, სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებლის მოწაფე, გაიარა სკოლა, რომელიც ზუსტად მიესადაგა მის სტილს. მუშაობდა სახელმწიფო გამომცემლობებში, მუზეუმში, კინოსტუდიაში და ამასთანავე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, იყო ხატვის კათედრის გამგე. დუდა გაბაშვილის, კლასიკოსი მხატვრის შემოქმედება ვრცელია, მოიცავს 60 წელს და ხასიათდება იშვიათი მრავალფეროვნებით. ითვლება, რომ მისი მხატვრობა ერთგვარი გარდამავალი და დამაკავშირებელი ეტაპია მეოცე საუკუნის პირველ და მეორე ნახევარს შორის. მხატვარს ჰქონდა გამოფენები საქართველოში, ინგლისში, გერმანიაში, რუსეთში.



დუდა გაბაშვილის შემოქმედება დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, როგორც ეპოქის ხელოვნების მიღწევათა ნათელი მაგალითი. მისი სახელი შესულია საუკეთესო საბჭოთა მხატვართა ასეულში, – განაცხადა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა.

გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვრის ოჯახის კერძო კოლექციაში დაცული 100-მდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, აგრეთვე ქანდაკება. გამოფენა თბილისის ისტორიის მუზეუმში 20 ივნისს გაიხსნება და 2 ივლისამდე გაგრძელდება.

# ანატორი — აკლდამებში ამოწყვეტილი სოფელი

ანატორი პირიქითა ხევსურეთში, შატილიდან დაახლოებით 3 კილომეტრში, მდინარე არღუნისა და მუცოსწყლის შესართავთან მდებარეობს. სოფელში, რომელიც ისტორიული წყაროებით მე-18 საუკუნეში ამოწყდა, ძირითადად სისაურებს უცხოვრიათ. გადმოცემის თანახმად, რაღაც ინფექცია, აქაურად „ჟამი", მოსდებია სოფელს და რაკი დამმარხავი და აკლდამამდე მიმყვანი (მიმტანი) აღარავინ რჩებოდა, ავადმყოფი ანატორელები თავისი ფეხით მიდიოდნენ აკლდამაში. ადრე გარდაცვლილებს საწოლი თაროებიდან ძირს გადმოაგდებდნენ და ახლა მშიერ-მწყურვალნი თვითონ ელოდნენ სიკვდილს.

აკლდამების შიგნით, კედლების გასწვრივ, მიცვალებულთა დასასვენებლად ორ ან სამ იარუსად ფიქლის თაროებია მოწყობილი. აკლდამებში რამდენიმე ათეული ადამიანი იყო დაკრძალული. ადრე დაკრძალულთა ძვლები იატაკზე და ქვედა იარუსის თაროებს ქვეშ იყო დაგროვილი. არქეოლოგიური გათხრის დროს აკლდამაში აღმოჩნდა ხის ჭურჭელი, სამკაულები, ისრისპირები და მონეტები.

გადმოცემის თანახმად, სოფლის მოსახლეობაზე ანატორის ჯვარი გაბრაზებულა. ანატორის ჯვარი – შატილის თემის საერთო სალოცავი იყო, რომელიც თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე მდებარეობს. ლეგენდის მიხედვით, ერთ კაცს ჯვრისთვის ისარი უსვრია, ჯვარს თემი დაუსჯია და 60 მამაკაცი ავადმყოფობით მოუკლავს.

კიდევ ერთი გადმოცემის თანახმად, ანატორის ჯვარი ალავერდიდან გადასულა ანატორში. ერთ მჭედელს ამ ხატის დაბმა განუზრახავს და მასზე ოქროს ლურსმანი დაუჭედებია.



ამაზე ხატი გაჯავრებულა, ჟამი გაჩენილა და ანატორელები ამოუხოცავს. ანატორში დღესაც დაცულია ამ ხატის საბრძანისი ნიში და ხატის ტყე. ხატობა იციან ამაღლებას და მახვეწარი ანატორის ჯვარს ღმერთთან შუამდგომლობასა და დახმარებას შესთხოვს.

მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი

# კვლევამ დაადასტურა, რომ ხატს სისხლი სდიოდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რომ საღებავისგან ყოფილიყო ეს ჩამონადენი. მეუფემაც თქვა, რომ ეს არის ძალიან დიდი მადლი, რომელიც დიდ სასწაულს და იშვიათობას წარმოადგენს ქრისტიანულ სამყაროში", – აღნიშნა იზა სტეფნაძემ.

საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლებმა მსხალგორში მდებარე ეკლესიაში ღვთისმშობლის ხატიდან ჩამონადენი ნივთიერების სინჯები 18 აპრილს აიღეს. მეუფე სერგის თქმით, ანალიზის პასუხი 4 დღეში უნდა გამხდარიყო ცნობილი.

მას შემდეგ კახეთის საინფორმაციო ცენტრი მეუფე სერგის არაერთხელ დაუკავშირდა, თუმცა ეპისკოპოსმა განაცხადა, რომ ექსპერტიზის პასუხი ჯერ ცნობილი არ იყო. „სახელმწიფო დონეზე უნდა გაკეთდესო ეს ექსპერტიზა და რა ვიცი, მემგონი ჯერ ვერ აკეთებენ. ჩვენ ისეთი დონის პრეპარატები არა გვაქვს, რომ ამის ანალიზი ჩატარდესო. რაც გინდა იყოს, ფაქტია, რომ სასწაულია", – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს მეუფე სერგიმ.

ერთ-ერთმა სასულიერო პირმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს დაუდასტურა, რომ ხატს სისხლი სდიოდა. „დიახ, კვლევამ დაადასტურა, რომ ხატს მირონის გარდა სისხლიც სდიოდა, მაგრამ პასუხი არ ხმაურდება იმ მიზეზით, რომ ხალხში პანიკა არ გაჩნდეს. როგორც იცით, აქამდეც რამდენჯერმე იყო ასეთი შემთხვევა და მალევე ომი დაიწყო", – აღნიშნა სასულიერო პირმა.

მსხალგორის მკვიდრი ბელა სტეფნაძეც ადასტურებს, რომ ხატს ექსპერტიზა უკვე ჩაუტარდა და დადასტურდა, რომ ხატს სისხლის სდიოდა. „მეც სასულიერო პირებისგან ვიცი, მათ მითხრეს. უბრალოდ არ სურთ ამ ფაქტის გახმაურება", – აღნიშნა ბელა სტეფნაძემ.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი საქართველოს საპატრიარქოს კიდევ ერთხელ დაუკავშირდა. ამ საკითხზე კომენტარი არ გააკეთეს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

# ევროკავშირი ბელორუსის მიმართ სანქციებს გაამკაცრებს

ევროკავშირმა, შესაძლოა, ბელორუსის წინააღმდეგ სანქციები გაამკაცროს. შესაბამისი განცხადება აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ორგანიზაციის საგარეო პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გუნარ ვიგანდმა გააკეთა.

მისი თქმით, ამის მიზეზი პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ პოლიტიკური რეპრესიებია, რომლებიც არ წყდება. ევროკავშირი ბელორუსთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად საპრეზიდენტო არჩევნებზე ყოფილ კანდიდატ ანდრეი სანნიკოვისა და მისი წინასაარჩევნო შტაბის ერთ-ერთ ხელმძღვანელ დიმიტრი ბონდარენკოსათვის ხელისუფლების მიერ ამნისტიის აქტის გამოცემას არასაკმარისად მიიჩნევს.

– ორი პოლიტიკური პატიმრის გათავისუფლებამ ევროკავშირის მოედანზე ბურთი არ გადააგდო. ბურთი მინსკში რჩება. ჩვენ შეგვიძლია გავაფართოოთ იმ პირთა წრე, რომელთა მიმართაც ევროკავშირში გასვლაზე აკრძალვა მოქმედებს, – აღნიშნა გუნარ ვიგანდმა.

ბელორუსის ოფიციალურ პირთა და მეწარმეთა შავ სიაში ამ დროისათვის 243 ადამიანი ირიცხება. მათ ევროკავშირის ქვეყნებში გასვლა ეკრძალებათ და ამავე ქვეყნებში მათი ანგარიშები გაყინულია.

ბელორუსმა 1918-19 წლებში მოიპოვა დამოუკიდებლობა რუსეთისაგან, 1941-44 წლებში ოკუპირებული იყო ფაშისტური გერმანიის მიერ. 1945 წელს გახდა გაეროს წევრი. 1991 წელს გამოაცხადა დამოუკიდებლობა სსრ კავშირისაგან. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა – შეიქმნა მინსკში. 1999 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას რუსეთ-ბელარუსის კავშირის შექმნის შესახებ.

გ. მ.

# „ეკოლოგიური სამართლის ცენტრმა" გაზგასამართი სადგურის მშენებლობა გააპროტესტა

„ეკოლოგიური სამართლის ცენტრმა" და ისნის მოსახლეობამ „ვისოლ-პეტროლიუმ ჯორჯიას" მიერ გაზგასამართი სადგურის მშენებლობის დაწყება გააპროტესტეს.

„ეკოლოგიური სამართლის ცენტრის" ინფორმაციით, მოსახლეობა აღშფოთებულია დოდაშვილის მოედანზე, საცხოვრებელი სახლების, ეკლესიისა და სკვერის სიახლოვეს, გაზგასამართი სადგურის მშენებლობით, რადგან მიაჩნია, რომ სადგური მათთვის საფრთხეს წარმოადგენს. მათივე ინფორმაციით, არაერთი თხოვნის მიუხედავად, კომპანიამ მოსახლეობის აზრი არ გაითვალისწინა.

„ეკოლოგიური სამართლის ცენტრის" ხელმძღვანელის ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, ეს მშენებლობა „ავტოგასამართი სადგურებისა და კომპლექსების უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ" ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს №1-1/2935 ბრძანებას ეწინააღმდეგება.

„ეკოლოგიური სამართლის ცენტრი" მოუწოდებს „ვისოლ-პეტროლიუმ ჯორჯიას" – უარი თქვას დასახლებულ პუნქტში გაზგასამართი სადგურის მშენებლობაზე.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მჟავანაძის თქმით, ცენტრი ყველა კანონიერ საშუალებას გამოიყენებს აღნიშნული მშენებლობის აღკვეთის მიზნით.

ნიუსპრესი



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ტოკიოს კომერციულ-ადმინისტრაციული ცენტრი; 2. ფერადი ლაზერის გამომგონებელი იაპონური წარმოშობის ამერიკელი ფიზიკოსი; 3. თვითმფრინავების სადგომი; 4. ტაილანდის ძველი სახელწოდება; 5. ტანსაცმლისა და თეთრეულის კარადა; 8. მეთუნეობის ხელოვნება; 12. ფრანგი მევიოლინე მამაკაცი, საერთაშორისო კონკურსის დამფუძნებელი; 13. რაიმეს ცვლის, განვითარებისა პროცესი; 14. აფრიკული გარეული ცხოველი; 16. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 18. ყვავილის ცენტრალური ნაწილი; 20. ბრიტანული ტაქსი.

**თარაზულად:** 6. ჩანჩქერი აფრიკაში; 7. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 8. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 9. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 10. იტალიელი დიქტატორი; 11. კუჭის ლორწოვანი გარსის ანთება; 15. ქართველი მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი; 17. თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 19. ბულიონში მოხარშული დაკეპილი ხორცის გუნდა; 21. ამერიკაში გავრცელებული კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 22. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 23. დაბალი ხმით სიცილი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ენეოლოგია; 2. ცეისი; 3. აპელაცია; 4. სინუსი; 7. გიუმი; 9. უნცია; 12. ესკალატორი; 14. ლიკუდი; 15. ფრიზერი; 17. პატენტი; 20. ფეოლა.

**თარაზულად:** 5.ინჟინერი; 6. ლეპტოპი; 8. ბესელია; 10. დემენცია; 11. ლიკანი; 13. გრადუსი; 16. სანიკიძე; 18. ნაბლი; 19. რისკი; 21. ბერდია; 22. ბრისტოლი; 23. პოსტერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ნალჩიკი; 2. უაიტპოლო; 3. სამაია; 4. ვერფი; 5. ვიეტნამი; 8. მაშარაბი; 12. კენი; 13. რამაიანა; 14. თრძელი; 16. ლოსიონი; 18. ბანჯო; 20. ქოცო.

**თარაზულად:** 6. ნაფტუსია; 7. გლანდები; 8. მანტია; 9. დიუმა; 10. დოლომანი; 11. კონკლავი; 15. კარაბინერი; 17. სალამო; 19. ლენქორანი; 21. ჰამსუნი; 22. იაკიტორია; 23. ბოლტონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთის პატრიარქი კირილი „ბრეგატის“ სახე ხდება?



**რუსეთში ყოველწლიურად დაჯილდოება „ვერცხლის ქოში“ ტარდება. დაჯილდოებას რუსული რადიო „ვერცხლის წვიმა“ ატარებს. ჯილდოები გადაეცემათ ადამიანებს, რომლებსაც საეჭვო მიღწევები აქვთ ცხოვრებაში. „ვერცხლის ქოშის“ ერთ-ერთი წამყვანი ქსენია სობჩაკია.**

ლაურეატებს შორის რუსეთის პატრიარქი კირილიც მოხვდა. მან „ოქროს ხელების“ ნომინაციაში გაიმარჯვა. საქმე ეხება სკანდალს, რომელიც რუსეთის პატრიარქის საათს შეეხება. საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ ფოტოზე პატრიარქს საათი ხელზე არ ეკეთა, თუმცა პრიალა მაგიდაზე, მის ხელზე საათი კარგად ჩანდა. გაირკვა, რომ ეს საათი „ბრეგატის“ წარმოების 30 ათას დოლარად შეფასებული საათი იყო.

პატრიარქი უარყოფბდა, რომ მას 30-ათასიანი საათი ეკეთა. მოგვიანებით აღიარა, რომ ეს საათი სრულიად შემთხვევით ერთ-ერთ საჩუქრის ყუთში აღმოაჩინა. თუმცა სურათს პატრიარქმა „მონტაჟი“ უწოდა.

დაჯილდოვებას თავად პატრიარქი რა თქმა უნდა არ ესწრებოდა, კომპანია „ბრეგატის“ წარმომადგენელმა ფილიპ ბალემ კირილს დიდი მადლობა გადაუხადა პროდუქტის შესანიშნავი რეკლამისთვის.

ბალეს თქმით, მან ბოლომდე ვერ გაიგო ქონდა თუ არა პატრიარქს მათი საათი, თუმცა აღნიშნა, რომ იგი მას ნამდვილად იმსახურებდა. ამიტომ ფილიპ ბალემ კომპანიის 2012 წლის უახლესი საათი პატრიარქს აჩუქა. ბალემ კირილს რუსეთში „ბრეგატის“ სახედ გახდომა შესთავაზა.

პატრიარქის გარდა, ნომინაციაში „ამომრჩევლების მიმართ განსაკუთრებული სიმკაცრის გამოჩენაში“ ვლადიმერ ჟირინოვსკიმ გაიმარჯვა. საუბარია მის წინასაარჩევნო ვიდეორგოლზე, სადაც მან რუსი ხალხი ზარმაც ვირს შეადარა. ვიდეორგოლში ჩანს, თუ როგორ ურტყამს ჟირინოვსკი მათრახს ვირს და ამბობს, რომ თუ მას არ აირჩევენ რუსეთში უარესი მდგომარეობა იქნება.

შეგახსენებთ, რომ „ნოვაია გაზეტამ“ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ამჟამინდელი ხელმძღვანელის პატრიარქ კირილის „პირადი კაპიტალის“ შესახებ სტატია გამოაქვეყნა. გამოცემაში გახსენებულია პატრიარქთან ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინის შეხვედრა, სადაც მან 1990-იან წლებს „თავაშვებული 90-იანები“ უწოდა, რომელსაც პატრიარქის სიტყვებით „წარმატებით გაართვა“ თავი პუტინმა.

თუმცა, როგორც გამოცემა აღნიშნავს ეს ის 90-იანი წლებია, როდესაც პატრიარქმა „ისეთი მდგომარეობის და გავლენის“ მოპოვება შეძლო, რომელიც მას ამჟამინდელი თანამდებობის დაკავებაში დაეხმარა. ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, პატრიარქობამდე მისი პირადი ქონება 4 მილიარდი დოლარი იყო.

ისტორიის მეცნიერებათა პროფესორ სერგეი ბიჩკოვის „ვრცელ დოსიეზე“ დაყრდნობით, ვლადიმერ გუნდიაევის(პატრიარქის ერისკაცობის სახელი და გვარი) შესახებ არაერთი პუბლიკაცია გამოქვეყნებულა. ისინი ძირითადად მომავალი პატრიარქის თამბაქოს ბიზნეს ეხებოდა. ოფიციალურად არცერთი პუბლიკაცია არ უარყვიათ, ზოგ შემთხვევაში კი თავად კირილი აღიარებდა, რომ ფაქტები სინამდვილეს შეეფერებოდა.

1993 წელს მოსკოვის საპატრიარქოს მონაწილეობით შეიქმნა საფინანსო-სავაჭრო ჯგუფი „ნიკა“, რომლის ვიცე-პრეზიდენტიც ვლადიმერ ვერიგი გახდა და რომელსაც მიტროპოლი კირილი ხელმძღვანელობდა. ერთ წელში კი ჰუმანიტარული დახმარების ორი პარალელური კომისია შეიქმნა, სადაც წყვეტდნენ რა ტიპის ბიზნესი შეიძლებოდა გათავისუფლებულიყო გადასახადისა და აქციზისაგან. ეს სერიოზულ ზიანს აყენებდა იმ დროის „თამბაქოს მეფეებს“, რომლებიც გადასახადებისაგან ვერ თავისუფლებდებოდნენ და არაკონკურენტულ გარემოში, ცხადია, სერიოზულად ზარალდებოდნენ.

სტატიაში საუბარია რომ თამბაქოს ბიზნესის გარდა პატრიარქი ზღვის პროდუქტების ბიზნესშიც იყო ჩართული. უკრაინელმა ჟურნალისტებმა კი პატრიარქი ხელზე „ბრეგატის“ საათი დააფიქსირეს, რომელიც 30 000 დოლარი ღირს. გამოცემის თანახმად პატრარქი, ასევე ფლობს: საკუთარ ვერტმფრენს, ვილებს, პენტჰაუსებს.

# ჯონ მაკკეინი სირიაში საჰაერო ოპერაციის ჩატარებას მოითხოვს

ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი აცხადებს, რომ სირიის მთავრობა სულ უფრო და უფრო ხშირად იყენებს სამხედრო ვერტმფრენებს იმ აჯანყებულთა წინააღმდეგ, რომლებიც პრეზიდენტ ბაშარ ასადის გადადგომას მოითხოვენ.



ამერიკული მეწარმეობის ინსტიტუტში სიტყვით გამოსვლისას ჯონ მაკკეინმა განაცხადა, რომ რუსეთი და ირანი სირიის რეჟიმს იარაღით ამარაგებს. რამდენიმე ხნის წინ იგივე განცხადება აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა გააკეთა და მოსკოვი დამასკოსათვის სამხედრო ვერტმფრენების მიწოდებაში დაადანაშაულა. სირიის ხელისუფლება ამ ბრალდებებს უარყოფს.

ჯონ მაკკეინი გამოდის ინიციატივით, გაეროს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით, რომელშიც რუსეთს ვეტოს უფლება აქვს, შეიქმნას იმ ქვეყნების კოალიცია, რომლებიც სირიაში სამხედრო საჰაერო ოპერაციის ჩატარებას ემხრობიან. დაახლოებით იმის მსგავსის, როგორიც თავის დროზე ლიბიაში იყო ჩატარებული.

„ენ-ბი-სი-სათვის“ მიცემულ ინტერვიუში კი ჯონ მაკკეინმა აშშ-ს სირცხვილი უწოდა იმას, რომ იგი სირიელ ამბოხებულებს არ ეხმარება.

ამასთან დაკავშირებით, აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მექსიკის ქალაქ ლოს-კაბოში, დიდი ოცეულის სამიტის ფარგლებში, გამართული ორმხრივი შეხვედრის შემდეგ ერთობლივი განცხადება მიიღეს.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ სირიელმა ხალხმა უნდა შეძლოს „დამოუკიდებლად, დემოკრატიული გზით აირჩიოს საკუთარი მომავალი“.

ობამამ და პუტინმა გააკეთეს მოწოდება სირიაში ძალადობის შეწყვეტისა და კოფი ანანის გეგმის შესრულების შესახებ.

— ჩვენ ვისაუბრეთ საერთაშორისო პრობლემებზე, მათ შორის სირიაზე და მრავალი შეხების წერტილი ვიპოვეთ, — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა დოკუმენტზე ხელმოწერის შემდეგ.

ბი-ბი-სის ინფორმაციით, პუტინმა არ დააკონკრეტა რამდენად წარმატებული იყო ორმხრივი შეხვედრა და მოხერხდა თუ არა ორი ლიდერის პოზიციების დაახლოება.

— აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი სირიაში მშვიდობისაკენ მოწოდებით გამოდიან, ასადზე კი დუმან, — იუწყება „ბიბისი“.

წყაროს ცნობით, მათ მექსიკის ქალაქ ლოს-კაბოსში „დიდი ოცეულის“ სამიტზე გამართული ორმხრივი მოლაპარაკებების შედეგად, ერთობლივი განცხადება მიიღეს. მასში ნათქვამია, რომ სირიელ ხალხს უნდა ჰქონდეს საშუალება, დამოუკიდებლად, დემოკრატიული გზით აირჩიოს საკუთარი მომავალი. პრეზიდენტები გამოვიდნენ მოწოდებით, რომ ქვეყანაში ყველანაირი ძალდობა შეწყდეს და ვითარების მშვიდობიანი მოგვარების გეგმა შესრულდეს, რომელიც გაერის სპეციალურ წარმომადგენელ კოფი ანანს ეკუთვნის. პუტინმა და ობამამ ასევე გამოხატეს მზადყოფნა, ერთობლივად ებრძოლონ ტერორიზმსა და ნარკოტრაფიკს და განაგრძონ დიალოგი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვაზე.

— ჩვენ საერთაშორისო პრობლემებზე ვიმსჯელეთ, მათ შორის სირიაზეც და ბევრი საერთო ვიპოვეთ, — აღნიშნა პუტინმა, თუმცა დეტალები არ დააკონკრეტა და გაურკვეველი დარჩა, თუ რამდენად დაახლოვა ორსაათიანმა დახურულმა შეხვედრამ პუტინი და ობამა.

— უახლოეს მომავალში სირიის ტერიტორიაზე რუსეთი, ჩინეთი, სირია და ირანი სამხედრო წვრთნებს ჩაატარებენ, — ინფორმაციას ამის შესახებ ტელეარხი „ალ-არაბია“ სააგენტო „ფარსზე“ დაყრდნობით ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციით, ეს სამხედრო წვრთნები იქნება ყველაზე მსხვილი სამხედრო წვრთნა ახლო აღმოსავლეთში და მასში მონაწილეობას მიიღებს 90 ათასი სამხედრო. წვრთნაში ჩართული იქნებიან ქვეითები ასევე სამხედრო საზღვაო და საჰაერო ძალები. ტელეარხის ინფორმაციით, ეგვიპტემ უკვე განაცხადა თანხმობა სუეცის არხით, ამ წვრთნებისათვის 12 ჩინეთის გემის გატარებაზე, რომლებიც ორი კვირის განმავლობაში სირიის სანაპიროებმადე მივლენ.

გავრცელებულ ინფორმაციაში ასევე ნათქვამია, რომ სამხედრო წვრთნაში მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 400 ვერტმფრენი და 1 ათასი ტანკი და ისიც რომ ამ წვრთნებში მონაწილეობას მიიღებენ რუსული წყალქვეშა ნავები და ავიამზიდი.

სირია თავის მხრივ რაკეტების „ჰაერი-წყალი“-ს გამოცდას გეგმავს. აღნიშნული ინფორმაციის ოფიციალური დადასტურება ჯერ არ არსებობს.

ამ ფონზე, სირიის ოპოზიციის აქტივისტების თქმით, გუშინ სამთავრობო ძალების მიერ ქალაქ დუმას დაბომბვამ შენობების ნგრევა გამოიწვია, სადაც არაერთი ოჯახია მოყოლილი. მხოლოდ გუშინ, ქვეყანაში 71 ადამიანი დაიღუპა.

— დაზარალებულების გადარჩენა არავის შეუძლია, რადგან იერიში კვლავ გრძელდება, — აცხადებენ ოპოზიციური ჯგუფები.

როგორც აცხადებენ, დუმას გარდა, სამთავრობო ძალებმა, გუშინ, ქალაქ ტაფასზეც მიიტანეს იერიში. ქალაქში 80-ზე მეტი ტანკი შევიდა.

„სი-ენ-ენ-ის“ ცნობით, გუშინ ბრიტანულმა სადაზღვეო კომპანია „სტანდარტ ქლაბმა“ განაცხადა, რომ მათ გააჩერეს რუსი ოპერატორების გემი, რომელსაც სავარაუდოდ შეაირაღება მიჰქონდა სირიის მთავრობისათვის.

ამერიკელი მალალჩინოსნების თქმით კი, გემს სამხედრო აღჭურვილობა კალინინგრადის ნავსადგურიდან გადაჰქონდა.

შეგახსენებთ, რომ სირიაში გაეროს სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა შაბათს განაცხადეს, რომ შექმნილი სარისკო სიტუაციიდან გამომდინარე ქვეყანაში სადამკვირვებლო მისიას შეწყვეტდნენ.

## 2012 წლის არშემდგარი ქვეყნების ინდექსი გამოაქვეყნეს

ვაშინგტონში დაარსებულმა „ფონდმა მშვიდობისათვის“ არშემდგარი ქვეყნების საძიებელი სია შეადგინა, რომელიც გუშინ საგარეო პოლიტიკის ჟურნალში გამოქვეყნდა.

საქართველო სიაში 51-ე ადგილზეა. ყველაზე სტაბილურ ქვეყნად კი ფინეთი მიიჩნევა-177-ე ადგილზე. 159-ე ადგილზეა ამერიკა, რუსეთი კი -83-ზე. პირველი ათეული ასე გამოიყურება-სომალი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, სუდანი, ჩადი, ზიმბაბვე, ავღანეთი, ჰაიტი, იემენი, ერაყი და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა.



ხუთი წლის განმავლობაში ამ სიაში პირველობას არ თმობს სომალი. მისი პირველ ადგილზე ყოფნა „ქვეყანაში გაბატონებულმა უკანონობამ, გავრცელებულმა ტერორიზმმა, მთავრობის არაეფქტურობამ, კრიმინალმა და უცხოური გემების წინააღმდეგ კარგად ორგანიზებულმა მეკობრულმა თავდასხმებმა განაპირობა“, — საუბარია ფონდის განცხადებაში.

ფონდის მიერ შედგენილ სია, სადაც მსოფლიოს 177 ქვეყანაა შესული, თორმეტ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მახასიათებელს ეფუძნება. ის ქვეყნები, რომლებიც სიის სათავეში იმყოფებიან, არ ნიშნავს რომ აუცილებლად არშემდგარი ქვეყნებია, თუმცა აქ მხედველობაშია მიღებული ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა არასწორი განვითარება, ეკონომიკური სისუსტე და ადამიანის უფლებები.

რაც შეეხება სომალის, 1991 წლიდან ამ სახელმწიფოში მიმდინარეობს სამოქალაქო ომი; სომალში ხშირად ხდება მთავრობების ცვლა. ქვეყნის რამდენიმე რეგიონში შექმნილია ადგილობრივი მთავრობები, რომლებიც დამოუკიდებლობისკენ ისწრაფვიან. მათგან აღსანიშნავია ქვეყნის ჩრდილოეთით არსებული სომალილენდი.



## სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე ორმხრივ სროლას მსხვერპლი მოჰყვა

სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრების პარიზის შეხვედრისთვის ერთი დღით შეჩერებული სროლები, მთიან ყარაბაღში ისევ განახლდა.

სომხეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, წუხელ მთელი ღამის განმავლობაში და დღეს გამთენისას, აზერბაიჯანის მხრიდან პერიოდული სროლები არ შეწყვეტილა. რის შედეგადაც, 19 წლის სამხედრო არამ გიულნაზარიანი გარდაიცვალა.

მთიანი ყარაბაღის არაღიარებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, იგი მძიმედ დაიჭრა და საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

აზერბაიჯანული მედია კი დაჭრილების შესახებ იუწყება. ქვეყნის თავდაცვის უწყების ინფორმაციით, ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევის შედეგად დაჭრილია რაჯაბ სურჰაი ოღლუ ეფენდიევი, რომელიც ჰოსპიტალიზებულია.

სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე შეტაკებები რამდენიმე კვირაა გრძელდება. ორმხრივი სროლის შედეგად, დაღუპულია 5 აზერბაიჯანელი და 10-მდე სომეხი ჯარისკაცი.

*მოამზადა გურა მამულაშვილმა*

## TV პროგრამა

ოთხშაბათი
20 ივნისი

07.30 ჩვენი დილა 09.00, 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 11.00 სამოთხის ვაშლები 12.45 ცხოვრება მშვენიერია 13.50 ვაშინგტონი დღეს 14.20 დოკ. ფილმი „მსოფლიოს ქალაქები„ 15.00, 21.00 სერ.„დეტექტივი„ 17.00 ეკონომ მენიუ 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. „ჩემი მეგობარი„ 22.00 ევრო-2012. მიმოხილვა. 22.35 ფეხბურთი: ევრო-2012. (პირდ.) 22.00 ევროპული არჩევნები 23.00 ღამის საუბრები 01.45 მხ. ფილმი „ბოულინგის მეფე„ (15) 03.40 მხ. ფილმი „ამერიკული მთები„ 05.45 დოკ. ფილმი „დედები და შვილები ჰოლივუდში„

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 13.45, 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 საქართველოთ პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 20.00 მხ. ფილმი „მეფე სოლომონის საბადოები„ 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი „უნივერსიტეტელი ლურჯები„ (12)

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. „მოპარული ბედნიერება„ 11.00, 11.30. 14.00, 17.00, 20.00, 01.30, 05.15, 07.00 ქრონიკა 11.05 სერ. „მოპარული ბედნიერება„ 11.50 სერ.„უკვდავი ბავშვები„ 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. „ღვინის გზა„ 15.40 რომ გადახვალ, გააჩერე (გან.) 17.40 სერ. „მეწამული ცა„ 18.40 სერ. „შურისძიების სახელით„ 21.00 სერ. „მემკვიდრეები„ 22.00 მე მიყვარს საქართველო 23.30 ხანუმა. 00.40 რემონტი 01.30 მხ. ფილმი „ძმები მეტოქეები„ (ა. გარსია) 03.35 მხ. ფილმი „რეალური სიყვარული„ (ჰ. გრანტი) 05.40 მუსიკა. 06.30 სერ. „შურისძიების საფასური„

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. „დედის გული„ 11.00 სერ. „ეჭვი და სიყვარული„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 თქვენი შოუ 17.00 სერ. „ტერეზა„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 19.50 სერ.„ველური ყვავილი„ 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 რა? სად? როდის? 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. „ჩემი შეყვარებული„ 09.45, 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ. ფილმი 12.15 სერ. „ენი, სწვანე სახურავების მამულიდან„ 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. „ველური მთვარე„ 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. „ვნებათა მიწა„ 21.00 სერ.“გაუხსნელი საქმე„ 22.00 ევრო-2012. 22.45 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 „დრო„ 09.00 მუსიკა 09.30 სერ. „სკოლის მეგობრები„ 10.30 დოკ. ფილმი „ჰოლივუდის წყვილები„ 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. „საგა„ 12.50, 19.35 სერ.„მაფიოზა„ 13.50 დოკ. ფილმი „ისინი„ 15.15 სერ. „საიდუმლო აგენტების თავგადასავალი„ 16.00 დოკ. ფილმი „პლატინის ქორწინებები„ 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი „ჰოლივუდის წყვილები„ 19.35 სერ. „ძუ მგელი„ 23.00 სცენა 23.40 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 განთიადი 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.30, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ. ფილმი „გურული ფირალები„. 11.00 დოკ. ფილმი „ყველაზე საქმიანი ადამიანი11.25 მგზავრები წუთისოფლისა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები. 13.20 კონცერტი ანდრია ბოჩელი. 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 ერთი ნივთის ისტორია. 15.10 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ. ფილმი „მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად„ 15.55 დოკ. ფილმი „ველური ბუნება„ 18.10 100 ქართული სიმღერა. 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი. 18.53, 22.50 ერთი ნივთის ისტორია. 19.20 ეთნოგრაფია. 19.25 მხ. ფილმი „ცარიელი ბინა„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 გზა, რომლითაც ვიარე 22.25 ქართული ალბომი 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი „მაჭახელა„. 00.05, 02.30 სიახლენი. 00.35 განთიადის სტუმარი. 01.00 ერთი დღე მონასტერში. 01.20 მხ. ფილმი „გვირაბი“ 1-ნაწ.

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

**20 ივნისი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6341 |
| ევრო | 2,0488 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5440 |
| რუსული რუბლი | 0,0499 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21-25, ღამით — 10-14
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-21, ღამით — 8-10
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19-23, ღამით — 7-9

**ამინდის პროგნოზი 20 ივნისისთვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა



# 14 ივნისიდან!
## დიდი საზაფხულო აქცია
## ქართული მწერლობის საუნჯე
## „ახალ თაობასთან“ ერთად
**ფასი 5 ლარი**

## ასტროპროგნოზი 20 ივნისისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **კირჩხიბი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ლომი** — თქვენი საქმე წინ მიდის, გახარებული ხართ. **ქალწული** — არ აყვეთ პროვოკაციას, დამშვიდდით. **სასწორი** — ჰარმონიული დღეა, შინაგანად კარგად ხართ. **ღრიანკალი** — ფული გაქვთ, ახალი სამსახურიც მოგწონთ. **მშვილდოსანი** — კარგად გააანალიზეთ მომხდარი, ბოდიშის მოხდა უნდა შეგეძლოთ. **თხის რქა** — ნურავის ენდობით, საკუთარ თავს დაეყრდენით. **მერწყული** — შინაგან სიმშვიდეს გრძნობთ, ეს დიდი გამარჯვებაა. **თევზები** — საღამო მშვენიერი იქნება, დასაჩუქრდებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კვლევამ დაადასტურა, რომ ხატს სისხლი სდიოდა



ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ლაგოდეხის რაიონის სოფელ მსხალგორში, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში ღვთისმშობლის ხატს ექვსი დღის განმავლობაში სისხლი სდიოდა. ექსპერტიზის შედეგი კახეთის საინფორმაციო ცენტრს სასულიერო პირმა გააცნო. მისივე თქმით, საპატრიარქო ექსპერტიზის პასუხს იმიტომ არ ახმაურებს, რომ ხალხში პანიკა არ გამოიწვიოს.

სოფელ მსხალგორში, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ახლადაშენებულ ეკლესიაში ღვთისმშობლის ხატს სისხლისფერი სითხე 9 აპრილიდან სდიოდა. მსხალგორის მაცხოვრებლების თქმით, ხატიდან ჩამონადენი მაშინ შენიშნეს, როცა ის ხელნაწერი ხატით უნდა ჩაენაცვლებინათ.

„9 აპრილს ვნახეთ, რომ ხატს სისხლი სდიოდა. ამ ხატის შეცვლას ვაპირებდით, რადგან ეს არის რეპროდუქცია და ხელით ნაწერი ხატით უნდა ჩაგვენაცვლებინა. ამ განწყობით შემოვედი, რომ ეს ხატი ჩამოგვებრძანებინა და რაც დავინახე, ჩემთვის წარმოუდგენელი იყო“, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს მსხალგორის მკვიდრმა ბელა სტეფნაძემ.

„ვნახეთ, რომ ხატზე იყო მუქი ფერის ჩამონადენი. თავზე იყო ბადისებური გარსი, მერე იშლებოდა და ბოლოს წვეთების სახით მთავრდებოდა. ეს არის პოლიგრაფიული ხატი. იმის ალბათობაც კი არ არის,

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ბერლუსკონის მორიგი სკანდალი

„მილანის“ პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი მორიგ სკანდალში გაეხვია. იტალიის პროკურატურის ცნობით, მას 3 წლითა და 8 თვით ემუქრება თავისუფლების აღკვეთა.



ბერლუსკონის ფინანსური მაქინაციები ედება ბრალად, რომელიც ამჟამად ჰოლდინგ „მედიასეტს“ უკავშირდება.

საქმე ის არის, რომ ბერლუსკონი და ჰოლდინგის ხელმძღვანელები ხელოვნურად ზრდიდნენ ტელეტრანსლაციების უფლების შესაძენ ფასებს, რასაც არაკანონიერი ფონდების დაარსება და ქრთამების აღება მოჰყვა. თანხები კი არაკანონიერად იხარჯებოდა ბერლუსკონის პოლიტიკური კამპანიისთვის.

პროკურატურა „მილანის“ 75 წლის პრეზიდენტის კიდევ ორ საქმეს იძიებს — არასრულწლოვან გოგონასთან სექსუალურ კავშირს, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასა და, შესაბამისად, სახელმწიფოებრივი საიდუმლოს დარღვევას.

მ. ჟ.


# 20 ივნისიდან

**უნიკალური პროექტი**

„ახალ თაობასთან“ ერთად
იყიდება უნიკალური პროექტის
„ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“ 26-ე ტომი

# ჯუზეპე ვერდი

„100 წიგნში“ შედის
იმ ადამიანთა ბიოგრაფიები,
რომლებმაც დიდი კვალი დატოვეს
მსოფლიო ისტორიაში,
მეცნიერებასა და კულტურაში.



**გაზეთი და წიგნი ერთად**
**8 ლარი**


## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. უხასიათობა, ცუდი გუნებაგანწყობილება; 2. ხარისხიანობის აღმნიშვნელი დამღა პლატინის, ოქროს, ვერცხლის ნაკეთობაზე; 3. სვანური ციხე-კოშკი; 4. დარჩეული კაკლის გული; 7. უოლტ დისნეის სრულმეტრაჟიანი მულტფილმი; 9. ჯამის აღმნიშვნელი ბერძნული ანბანის ასო მათემატიკაში; 12. ერის, ტომის, ხალხის წარმოშობა; 14. ზღვისპირა კურორტი პოლონეთში; 15. ფუტკრის მსგავსი მოყვითალო ფერის მწერი; 17. მეფის მცველი რაზმი ძველად საქართველოში; 20. დაბალი ხარისხის ალმასი.

**თარაზულად:** 5. შაქრის სუროგატი; 6. ფრანგი ფილოსოფოსი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 8. ოდესის ძველი სახელწოდება; 10. მავნებლური, ძირგამომთხრელი მოქმედება რაიმე საქმეში; 11. იაპონიის ერთ-ერთი კუნძული; 13. სიბნელეში ჭუჭრუტანიდან შემოსული სინათლის სხივი; 16. გარკვეული წესით შედგენილი ერთგვაროვანი საგნების სია; 18. ველორიქშა ინდოეთში; 19. თოფზე ჩამოსაცმელი ტყავის ბუდე; 21. სასტუმროს თანამშრომელი; 22. გასართობად შეთხზული მოკლე, სასაცილო ამბავი; 23. საკურთხევლის ტახტი ეკლესიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

